საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 197 შაბათი, მარტის 17 (30) 1918 წ.

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაქვსთან აჭარლებსა და ჩვენს რაზმელებს შორის შეტაკება მოხდა: სოციალისტ-ფედერალისტთა რაზმში დაიჭრა ქემელაშვილი და ერთი რაზმელი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., მეოთხე გვერდზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 5 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძისეული „ნადგური") მარჯანის ქუჩა, სახლი № 14 და ღირებს ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დაბეჭდვა განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 8-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახალხის ქ., სარაჯიშვილის ს. № 5.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

დავით ილიკოს ძე და პელაგია მიხეილის ასული დავითაშვილები, მათი შვილები: ელენე, ნინო, მიხეილი და მერიკა განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ 13-ს ამ მარტს გარდაიცვალა დაუვიწყარი შვილი პირველთა და ძმა უკანასკნელთა

კოტე (კოტიკო) დავითაშვილი

პანაშვიდები საღამოს 6-ს საათზე; გამოსვენება შაბათს, 17-ს მარტს, დილის 9 საათზე; დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე. მისამართი: თამარის ქ. № 20. 310

ნინო, დარია, ანეტა, ივანე და ნიკოლოზ ყ ფშიძ ნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათი საყვარელი ბიძაშვილის, ტფილისის მეორე გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფის

კოტე დავითაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, დილის 9 საათზე ბინიდან, თამარის ქ., 20, წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. 322

მღვდელი იოანე დავითაშვილი და მეუღლე მისი მარიამ სვიმონის ასული, შვილები თამარ, გიორგი, ილია, ანდრია და ქეთევან, რძლები: ნადეჟდა ეგნატეს ასული და სოფიო ზურაბის ასული და სიძე ნიკოლოზ მიხეილის ძე ნასყიდაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ 13 ამ თვეს გარდაიცვალა პირველთა ძვირფასი ძმისწული, ხოლო დანარჩენთა ბიძაშვილი

კოტე დავითაშვილი

გამოსვენება საკუთარი ბინიდან (თამარის ქუჩა № 20) დღეს, დილის 9 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე. 323

გულდამწვარი ქვრივი: ქეთევან მაიას ასული, შვილები: იაკობ, ლიზა, ოლიკო, ეკატერინე და შვილიშვილი ლუარსაბ იაკობის ასული მშვენიერაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ, რომ 13 მარტს, დილის 9 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორეების უსაყვარლესი მამა და მესამესი საყვარელი ბაბუა

გიგია პეტრესძე მშვენიერაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 მარტს, ს. სალეტის ეკლესიაზე, დღის 12 საათზე. 321

დღეს, 17 მარტს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვლილ მასწავლებლის

დიანოზ სპირიდონისძე ზერიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა ნადეჟდა დავითის ასული ზერიძისა შვილებითა და ნათესავებით. 320

ქვრივი ნიკოლოზის ასული სონღულაშვილისა და ძმანი ბიძანი და თომა გრიგოლის ძენი სონღულაშვილები დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი მეუღლე და მეორეთა ძმა, მღვდელი

გრიგოლ თომასძე სონღულაშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 მარტს, სოფ. დილომში. 324

თეოფანე, მღვდელი ივანე და ირაკლი თომას ძენი სონღულაშვილები და ქეთევან თომას ასული გაძელიშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა ძმა მათი მღვდელი

გრიგოლ თომასძე სონღულაშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 მარტს, სოფ. დილომში. 324

---

11 მარტს ახალ-სენაკში მოჰკლეს ბოროტიკი

დომენტი შარვანის ძე

ჯაბავა

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მოკლულის მშობლები და მეუღლე დაკრძალვა 22 მარტს, სოფ. ბორჩაში (ზუგდიდის მაზრაში) 314

ქართული კლუბი დილის წარმოდგენა

კვირას 18 მარტს 1918 წ.

მსახიობი ქალი ელ. ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას. დამსახურებულ მსახიობთა ვალ. გუნიას და შალვა დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა

და-ძმა

5 მოქ. 6 ს. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ ქ.ქ. ნ. ჯავახიშვილი, ელ. ანდრონიკაშვილი, ბ.ბ. ვ. გუნია, შ. დადიანი, ვ. ბარველი, ი. ქავიძე, პ. ფრანგიშვილი, ვ. მატარაძე, ი. კობახიძე, სხრაული ი. თარაშაშვილი და სხვანი.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

დასაწყისი დღის სრულ 12 ს. 1071 რეჟისორი შალვა დადიანი.

ინიციატორთა ჯგუფი და ვაჭარ-მრეწველთა დეპუტატთა საბჭოს აღმას. კომიტეტი

იწვევს ყველა ხელოსანს, ვაჭარს და მრეწველს კვირას, დილის 11 საათზე საზოგადო

მიტინგზე

რომელზედაც მსჯელობა იქნება ქვეყნის დაცვაში მონაწილეობაზე ამიერკავკასიის საზღვრებზე საომარი მოქმედების დროს. მიტინგი დანიშნულია ხელოსანთა კლუბში (მიხეილის პრ.) 1113

ტფილისის ქართ. ფილარმონიული საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

(ხოდაშენის ქუჩა № 4)

კვირას, 18 მარტს, სკოლის ბინაზე დანიშნულია სკოლის მოწაფეთა მეორე

საჯარო სამუსიკო დილა.

შესასვლელი ფასი ერთი მანეთი.

დასაწყისი სრულ 12 საათზე. 1112

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტა იძის, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური შენობაში, შენობა, ტელეფ. 19—80.

დღეს 17 მარტს გამართება

დიდი წარმოდგენა „ჩვენი შაბათი"

ახალი არტისტების მონაწილეობით გასტროლი იაპონელთა დასისა რომელიც 12 კაცისაგან შესდგება, პროფ. მიერ იამადასინის მეთაურობით. პირველი გასტროლი ცნობილ მფრინავებისა „ადამიან ბუზებს", დე-ლა-კაზოს იდეალ დასისა. მონაწილეობენ ყველა კლოუნები ძმ. ვინჩენცი

ანონსი: ხვალ კვირას 18 მარტს გაიმართება ორი სადღესასწაულო წარმოდგენა დღისით 1 საათზე, საღ 8 საათზე. 325

აბასთუმნის ფალავერი

(აბასთუმნის რკინის გზა, ბორჯომიდან 12 ვერსზე)

პანსიონი

ელისაბედ მღებრიშვილისა

(მეთორმეტე სეზონი)

პანსიონი მოთავსებულია ახლად აგებულ შენობაში, მაღლობ და განცალკევებულ სუფთა ადგილას, ფიჭვ ნაძვნარში, ყოველივე მოწყობილობით. პანსიონთან იმყოფება ექიმი, არის საგანგებოდ გამოყვანილი წყაროს წყალი. არის ვანნები, პიანინო და სხვ.. სადგურიდან მოსხმის სოფლამდე საპარაკი.

აგრეთვე ფალავერში მიიღება ნარზანის მსგავსი სამკურნალო მჟავე (რკინის) წყალი.

პირობების გაგება შეიძლება თვით ფალავერში: Цагвери (черезъ Боржомъ) Елизаветѣ Яковлевнѣ Мгебришвили). 1106

შემთხვევით იყიდება

ძალიან მაგარი და ლამაზი რკინის „კასა" ნახვა შეიძლება 12—2 საათამდე. ვეძინის ქუჩა № 28 დიდან არჩევამდე თამწმინდაში. 312

ტფილისი, 17 მარტი 1918 წ.

რუსული ხმები.

ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული ყრილობა ტფილისში ძვირფასი მასალაა რუსულ სულისკვეთების და მიზნების შესასწავლად. ყრილობა მრავალრიცხოვანია, სხვა და სხვა საზოგადოებრივი წრეა წარმოდგენილი, მაგრამ ერთი დიდი ყოველ რუსს ატყუა აშკარად.—შედიდეური კილო, თავხედობის გრძნობა, პრიორიტეტი კულტურულ სფეროში. ეს გრძნობა რუსთა კულტურულ უპირატესობიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ იმ ბატონობიდან, რომელსაც ამიერკავკასიის რუსობა ჩვენში შეეჩვია ას ოცი წლის განმავლობაში.

ეს საერთო დიდი ყრილობის პასუხსაგებ ნაბიჯშიაც გამოიხატა. კულტურული სიმწიფე და მომზადება ერთეულს ეროვნულ ძალას, ჰქმნის სოციალურ და იდეურ ერთიობას, ხოლო „დეგენერირებული" კულტურა კი მონობა-ბატონობის კულტურაა ერთმანეთის უპატივცემლობაზე აგებული და ამ უკანასკნელ სახის კულტურას ყრილობა უხვად გვიჩვენებდა.

რა ჰქონდათ ყრილობის წევრთ გასაყოფი?—ამიერკავკასიის რუსებს ჩვენში არც ტერიტორია აქვთ, არც ქალაქი, არც სოფელი, ეს ხალხი ტერიტორიალური ქიმერა და კულტურული ფიქციაა მთელს ამიერკავკასიაში და ყრილობაზე კი წევრები თავსაც აგდებენ გრძნობთ. ტფილისს ჯერ არც ერთი კრება და მით უმეტეს ეროვნული ყრილობა არ ახსოვს, სადაც იმდენი ტრაბახობა მოესმინოს ყინმის და ამავე დროს იმდენივე ლანძღვა-გინება მოსჭრაბოდე ადამიანებს. პოლეშიკაისი ისე გაიტაცა რუსულ მესიანიზმის იდეამ, რომ ამიერკავკასიის ერები დასახა ველურების ბრბოებად, რომელთაც შეგნებულ ადამიანის გამომეტყველება „ივანე კეთილშობილის" შვილებმა მიანიჭეს, ხოლო ამავე დროს ლეჩვეცვი რუსთა ჩინოვნიკების სამარცხვინო ისტორიას იგონებს, რომელიც რყვნიდა და სწამლავდა მთელ საზოგადოებრიობას. დიუჟურულებული სკანდალი, ყრილობის სხდომიდან წევრის გაძევება, პოლკოვნიკის დემონსტრატიული მოძრაობა კრებაზე—ყოველივე ეს იქ ხდება, იმ დარბაზში, სადაც პოლეშიმიკინის აზრით—მთელ ამიერკავკასიის მარილი და სინიდისია შეკრებილი. პათოსი და ლირიკა, რომანტიკა და სანტიმენტალიზმი თავზე ასხამდნენ ხან ერთ ნაწილს კრებისას, ხან მეორე ნაწილს, მაგრამ მთელი კრება ისე მიმდინარეობს, რომ თვით რუსთა ხალხში თითქმის არავითარი გამოძახილი და მნიშვნელობა არ ჰქონდა.

კულტურულ მკრეხის ძალებმა ეროვნულ არჩევნებში ყველაზე მეტი ინდიფერენტიზმი და აბსენტეიზმი გამოიჩინეს, ხოლო დღეს, რომლებიც გადიოდნენ პოლკოვნიკის რუსები, შეიარაღებულ ძალებით ახდენენ დემონსტრაციას და თითქოს სილუეტს მოჰგვანებენ რუსთა ყოფილ ძლიერებას—ამ დროს კი შავი ზღვის ნაპირიდან გემებით ყოველდღიურად რუსეთში ჩაწერილი 50 ათასზე მეტი რუსი. სად გაგონილა და ეს მოსწრია ცხადი წინააღმდეგობა იდეასა და ფაქტებს შორის. ყველასათვის აშკარაა, რომ, ადგილობრივი რუსობა ერთი აზრით, ერთი შეთავგრესი მრწამსით ანთებული ხალხი, კომპაქტური ეროვნული მასა კი არ არის, არამედ ხელოვნურად შეკრებილი ნაწილაკებია ყოფილ დიდ ერისა.

არავისათვის საიდუმლოება არ არის რომ რუსობის დიდი ნაწილი მიემგზავრება რუსეთში. რუსობა ამტკიცებს, რომ იქ სადაც ეროვნული რუსული ბატონობა არ არის, მას სიცოცხლე არც სურს და არც შეუძლია. მოიშალა ბატონობა რუსთა ხალხისა და რუსები თავმოგლეჯილი გარბიან ფრონტიდან. სოფელ-ქალაქებიდანაც მირბიან და ჰყიდიან ყოველ ქონებას.

აი ასეთ ტრაგიკულ პირობებში შეკრებილი რუსთა ყრილობა ცდილობს თავი დაუჭიროს რუსთა ელემენტებს, ამხნევებს მათ დოსტოევსკის სახელით ხან ტოლსტოის და თვით ადგილობრივ მოღვაწეთა შეხედულებათა განმარტებებით. მთელ ყრილობას კი უკამათოდ აღარ მიაჩნია ეროვნულ თავდაცვისათვის საგანგებო ორგანოების შექმნის საჭიროება და მოითხოვს ამიერკავკასიაში მოსახლე ეროვნებისაგან რუსულ სეიმის შედგენას. შინაარსი და ხასიათი რუსული სეიმისა იქიდანაც ირკვევა, რომ ყრილობა რუსულ სეიმისათვის მოითხოვს საჯარო ხასიათის უფლებებს, ესე იგი სახელმწიფოებრივ უფლებების ატრიბუტებს, თუმცა ამავე დროს სრულიად არ არის ყრილობის მიერ გათვალისწინებული რუსულ სეიმის განწყობილება და დამოკიდებულება სხვა ეროვნულ სეიმებთან, ან თვით არჩეულ ამიერ კავკასიის სეიმთან. ყოველ შემთხვევაში ასე სეპარატიული პოზიციის დაჭერა ბრწყინვალე იზოლაციის ნიადაგზე ძალიან დამახასიათებელია ადგილობრივ რუსთა მსოფლმხედველობის ჰორიზონტისათვის და პოლიტიკურ უმწიფრობად უნდა ჩაითვალოს.

სასაკვირველია მისკრეფა და პროგრამაში წარმოებულ საქმეებს ამიერ კავკასიიდან ევრიპის გამოსწორებას, მით უმეტეს, რომ აქაური რუსები ეროვნულ ძალთა შეკავშირებას ქადაგებენ, რუსულ სეიმს ხოტბას ასხამენ და ამავე დროს ჩემოდანი ხელთ უჭირავთ, რკინის გზის ბილეთები აღებული აქვთ, რომ მხარე დასტოვონ, ასეთს მდგომარეობაში რუსული სეიმის იდეა ლონკა ხოტის პლანებს მოაგაგონებს.

ქართული პრესა

გაზეთ „საქართველო"-ს როგორც მოსალოდნელი იყო, სეიმის მიერ მიღებული კანონი მიწის შესახებ არ მოსწონს. არ მოსწონს იმიტომ, რომ დიდი მემამულეებს უნდა ჩამოერთვას ზედ-მეტი მამული და გადაეცეს იმას, ვისაც ან სულ არა აქვს მიწა, ან ძალიან ცოტა აქვს.. უკმაყოფილო „საქართველო"-ს მოჰყავს ერთი ადგილი ჩვენი გაზეთის წერილიდან და დასძენს:

„ფედერალისტების აზრით ათიათასი უფრო სამართლიანი იქნებოდა, ვისაც ნორმაზე ნაკლები მიწა აქვს, ეს მიწა საკუთრებად მიეცათ და ვისაც დიდი მამული ჩამოერთმევათ, იმას შეიძლება დეპუტატობაც არ დაეკარგოთ საკუთრებად, არამედ ისიც საიჯაროდ გადაეცათ".

ძალიან ძნელია კამათი ისეთს გაზეთთან, რომელსაც წაკითხულის გაგების უნარი არა აქვს, ჩვენ მხოლოდ ის აღვნიშნეთ რომ მიღებული კანო

ნის მიხედვით სოფელში რჩება როგორც ინსტიტუტი კერძო საკუთრებისა, ისე ინსტიტუტი საზოგადოებრივი საკუთრებისა. შვიდი დესეტინის პატრონს საიჯარო არაფერი ექნება, რადგანაც იგი ისეთს ნორმად არის მიჩნეული, რომელიც საჭიროა ერთი ოჯახისთვის საცხოვრებლად. ჩვენ თუ იჯარაზე ვლაპარაკობდით, მხოლოდ იმ მამულების შესახებ, რომლებიც საზოგადო საკუთრებად გამოცხადდება. რაიცა შეხება ჩვენ აზრს, ჩვენ მუდამ წინააღმდეგი ვიყავით სოფელში ისეთი მდგომარეობის შექმნისა, როდესაც მიწის მუშა იძულებული გახდება ისევ იჯარით აეღო მამული.

შეკითხვა ლეჩხუმისათვის

ამიერ კავკასიის სეიმმა უარყო ნ. ჟორდანიას წინადადება, რომ ლეჩხუმის შეკითხვა უადგილო კითხვად გადაქცეულიყო. სოც.-რევოლიუციონერის ლორთქიფანიძის წინადადებით სეიმმა 7 დღის ვადა მისცა მთავრობას ლეჩხუმის ამბების ახსნა-განმარტებისათვის.

სეიმის უკანასკნელ კრებამდე ჩვენ ვიცოდით, რომ ქუთაისის საგუბერნიო კომისარს—ბ. კაჩუხაშვილს გეგეჭკორმა განმარტებები მოსთხოვა ლეჩხუმის ამბებისა, მაგრამ როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, ბ. კარცივაძემ განაცხადა სეიმში ამას, მთავრობას, ქუთაისის გუბერნიის კომისარისაგან არავითარი განმარტება არ მიუღია.

ასე თუ ისე, დღეს ჩვენი საზოგადოების ყურადღების საგნად არის გადაქცეული ლეჩხუმის ამბები, მთავრობა მოვალეა პასუხი აგოს, სეიმმა თავისი აზრი გამოიტანოს მის შესახებ. რასაკვირველია ამ საყურადღებო საქმეში საჭირო არ იყო არც პიროვნული მომენტის შეტანა და არც პარტიულ თავმოყვარეობის გატანა სასწორზე, როდესაც ნოე რამიშვილმა განაცხადა სეიმში, რომ სოციალ-დემოკრატები ჯიუტობას არ დაიჩემებენ და ყოველ ფაქტს მხედველობაში მიიღებს ყველამ ის იფიქრა, რომ სოც.-დემოკრატიული ფრაქცია მაინცა და მაინც არც ისეთი ჯიუტობას გამოიჩენს ამ საქმეში, როგორც ეს გაზეთების მკითხველებს შეიძლება ეგონოთ.

ვნახოთ რით დასრულდება ეს საქმე. მოვიგონებთ მხოლოდ ზოგიერთ რამეებს, რომელთაც დავიწყება არც შეგვიძლიან და არც შეიძლება. ქუთაისის საგუბერნიო კომისარი და საზოგადოდ თანამედროვე სადმინისტრაციო მექანიკა ჩვენ გვესმის არა როგორც ბიუროკრატიულ მოხელეთა სიმყოლო, პოლიციის და ჟანდარმერიის განსახიერებად, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრების ერთ-ერთ ფუნქციად, სადაც [illegible] საზოგადოებრივი კეთილდღეობა. ასე რომ არ იყოს, ჩვენ ადმინისტრაციის როლში არც ბ. გაქარის წინ ავდგებოდით არც რამიშვილს და არც წერეთელს. რაკი ეს ასე, და ეს კი უეჭველად ასეა, ჩვენი იდეალია საზოგადოებრივ საქმეების სათავეში ისეთი მოღვაწეები ჩავაყენოთ, რომელთაც წინააღმდეგ არა თუ რაიმე ფაქტიური, ფორმალურად და იურიდიულად დამტკიცებული დანაშაული მიუძღვის, უბრალო ცუდი ხმა და იჭვიც მხედველობაში უნდა მივიღოთ, თუ კი ამ ცუდ ხმას და იჭვს საზოგადოებრივი ჯგუფები ინაწილებენ. მართალია ჩვენ ყოველთვის ანგარიშს უნდა ვუწევდეთ განსაკუთრებით ფაქტებს, მაგრამ არც ყოველგვარი ხმისა და ჭორის მოთავსება შეიძლება ერთ ტაფაში; განა თვით კაჩუხაშვილს, როგორც იურისტს—კარგად არ მოეხსენება, რომ არის მთელი რიგი დანაშაული და დამნაშავე—ხშირად ძალიანაც დიდი—მაგრამ დაუსჯელი რჩება მხოლოდ იმიტომ, რომ ფორმალური მხარეების შესრულება გაძნელებულია? ჩვენ უნდა ვცდილობდეთ განსაკუთრებულის სინაზით მოვეპყრათ ასეთ პასუხსაგებ მოვალეობა-ადგილებს და ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფის ხმას დიდი ყურადღება მივაქციოთ. ბ. ივ. კაჩუხაშვილის გარშემო—სამართლიანად თუ უსამართლოდ—ტფილისშიაც ძალიან ცუდი ატმოსფერა შეიქმნა და არა მენშევიკური ელემენტები ფრიად უკმაყოფილონი იყვნენ მისი მუშაობით. მენშევიკები დღეს სახელმწიფოებრივი პარტიაა და ამ პარტიას ევალება მხედველობაში მიიღოს არა მარტო პარტიის და მხოლოდ მენშევიკების შეხედულება, არამედ სხვა ელემენტების უბრალო სურვილებიც კი, ვინაიდან ის იგი პარტია ყველაზე ინტერესების დაკმაყოფილებას ფიქრობს თავის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივის მუშაობით.

გულწრფელად უნდა ვსთქვათ, ჩვენ ძალიან გაგვიკვირდა, რომ ბატ. ივ. კაჩუხაშვილის მოქმედება ასე თავგამოდებით დაიცვა სოციალ-დემოკრატიამ და თითქმის პარტიის საქმედ გაიხადეს ეს. ჩვენ უკეთესი შეხედულებისა ვართ კაჩუხაშვილზე და გვგონია, რომ თვით კაჩუხაშვილი არას შემთხვევაში არ შეჩერდება იმ ადგილზე, რომელზედაც მისმა მოქმედებამ ასე დიდი სკანდალი გამოიწვია.

ლეჩხუმის საქმეში გაზ. „ერთობამ“ ერთი საყურადღებო მოვლენას მიაქცია ყურადღება,—კაჩუხაშვილის სტილს. მართალი უნდა ითქვას, ეს ახალი პოეზიაა სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაში, რომ სასიკვდილო საქმეებში სტილს ქონია დიდი მნიშვნელობა. წარმოვიდგინოთ, რომ მართლა სტილია დამნაშავე და არა თვით ფაქტი. ესეც მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ბ. კაჩუხაშვილი ჯერ კიდევ ისე ვერ შეჩვევია დიდ სადმინისტრაციო საქმეებს, რომ მთელი ლიხის მთის იქით ხაზი და მგრძნობიარე ხალხის მართველობის სადავეები ხელში ჩავაბაროთ.

მაგრამ განა მართლა სტილშია საქმე?—რასაკვირველია არა; ივ. კაჩუხაშვილი არც ბავშვია და არც იდეებად მოუმწიფებელი, რომ არ იცოდეს რასაც ამბობდეს. კომისარის ბრძანებები და „კანონის გარეშე“ გამოცხადება ფორმით კი არ სობდა, არამედ ფაქტიურად, ყოველივე ის, რაც მოსდევს და ახასიათებს „კანონს გარეშე“ ხალხის და ადგილის გამოცხადების თვით ბრძანებაშია გამოხატული. აღმაშფოთებელი იყო არა სტილის გარეგანი ფორმა, თვით ის შინაარსი და ზომები, რომლითაც კაჩუხაშვილმა ბრძოლა დაიწყო ლეჩხუმის მთელი მაზრის წინააღმდეგ. აქედან მხოლოდ ერთი რა უნდა დავასკვნათ: ივ. კაჩუხაშვილი ჯერ კიდევ იმდენად ვერ არის გაცნობილი ახალი, თანამედროვე სადმინისტრაციო მოღვაწეობის პრინციპებით, რომ საზოგადოებას ისე მოეპყრას, როგორც დემოკრატიულ კაცს შეეფერება, ესე იგი მას დააკლდა ტაქტი, საზოგადოებრივი ალღო სინაზე და ლოიალობა.

რანაირიც არ უნდა იყოს ლეჩხუმის ზოგიერთ პირის ან უარეს შემთხვევაში წრის ბოროტმოქმედება, შეუძლებელია მთელი ხალხი მკვლელებად და ავაზაკებად გამოვაცხადოთ. წარმოუდგენელი და მიუღებელია სამოქმედო გეგმა, რეპრესია ივ. კაჩუხაშვილის მიერ მიღებული. ასეთი რეპრესია აღემატება ყოველგვარ სასჯელს, ის ათიოდე ადამიანების სიკვდილის დასჯაზე, ეს მთელი ხალხის სიკვდილის დასჯაა და ვისაც ეს საქმე ასე არ ესმის, უნდა ვსთქვათ, რომ მათ ძალიან ნაკლები საზოგადოებრივი ალღო აქვს და დათვურს სამსახურს გაუწევს თვით რევოლიუციას. სოციალ-დემოკრატიამ, როგორც პარტიამ, ხოლო ივ. კაჩუხაშვილმა, როგორც კომისარმა უნდა აღიარონ, რომ მათ შეცდომა ჩაიდინეს ლეჩხუმის საქმეში ხოლო ამ შეცდომას შემდეგ აღარ გაიმეორებენ.

ლეჩხუმის მაზრის საკითხში კიდევ უფრო საინტერესოა სხვა მომენტები. განსაკუთრებით ინტერპარტიული კომისიის ისტორია. სეიმში საგულისხმიერო დებულებით გამოილაშქრა გრ. გიორგაძემ. ბ-ნ გიორგაძეს ბოლშევიკებთან და სოციალისტ-რევოლიუციონერებთან ვერ წარმოუდგენია სალეჩხუმო კომისიაში შესვლა იმიტომ, რომ ბოლშევიკები მობილიზაციის წინააღმდეგები არიან, ხოლო სოციალისტ-რევოლიუციონერებს მიწის საკითხი არ მოსწონთ. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც ეს მოტივები გავიგეთ. ეხლაც გვგონია, რომ აქ რაღაც დიდი გაუგებრობაა, თორემ როგორ შეიძლება იურისტს და ამიერკავკასიის საკანონმდებლო დაწესებულების წევრს—თუნდაც ის სოციალ-დემოკრატი მენშევიკი იყოს არ ესმოდეს, რომ შეუძლებელია ამა თუ იმ კანონით ყველა ფრაქცია იყოს კმაყოფილი და მხოლოდ იმიტომ, რომ პარტია იწუნებს რომელიმე მოვლენას და კანონს მას ბოიკოტი გამოუცხადოთ და მასთან არ ვიმუშაოთ. კრიტიკა და პარტიული მსოფლმხედველობა წმინდათა წმინდაა და საპატიოა ყველა პარტიის კაცისათვის და რად გონია ბ-ნ გიორგაძეს, რომ რაკი სეიმში ერთად არიან მენშევიკები და ესერები უეჭველია ამით მათი აზრი და სახე წაიშლება?

თავი გავანებოთ ყოველივე ამას და ისიც მოვიგონოთ, რომ სალეჩხუმო კომისიაში გასარჩევი იყო არა მიწის საკითხი, არა მობილიზაცია-დემობილიზაცია, არამედ ის უწესობა, რომელსაც ადგილი ქონდა ლეჩხუმში. ის ბრძანება, რომელიც გამოსცა ბ-ნმა კაჩუხაშვილმა.

შეიძლება სხვა და სხვა მსოფლმხედველობის იყოს ადამიანები, მაგრამ ბოროტ-მოქმედებამ ყველა ერთნაირად აღელვოს, ერთნაირად აალაპარაკოს. დღის სინათლე ყველა პარტიას ერთნაირად ეჩვენება, კ. მარქსის სურათში ვერც ერთი პარტიის კაცი ვერ დაინახავს მარქსის მელოტ თავს. ამ მხრივ უნდა შევხებოდით იმ საკითხს, რომელიც **პოლიტიკურ მსოფლმხედველობის** ნასახიც არ აქვს, რომელსაც ბოროტ-მოქმედების დაღი აზის, რომელიც კრიმინალიზმის, სისხლის სამართლის სფეროში შედის და არა განყენებულ თეორიისა, თუნდაც ეს თეორია აგრარიარიზმი ან სოციალიზმი იყოს.

ინტერპარტიული კომისიის მუშაობის შეზღუდვა და აკრძალვა ივ. კაჩუხოვის მეორე, კიდევ ახალი დიდი შეცდომაა და ამ შეცდომას ის ვერ გამოასწორებს ვიდრე საქვეყნოდ არ აღიარებს თავის გზას.

დღეს ლეჩხუმის ამბები უფრო გარკვეულია ყველასათვის, ჩადენილია მთელი რიგი საპასუხისმგებლო შეცდომა, გამოჩენილია ჯიუტობა ამ შეცდარ ნაბიჯების დაცვისა და მარტო ესეც საკმაოა საზოგადოებრივ მოღვაწისათვის, რომ ლეჩხუმის საკითხი დიდი შეკითხვა დარჩეს სათანადო ნაყოფის მისაღებად, აქაურ საზოგადოების და ლეჩხუმის ხალხის დასაკმაყოფილებლად.

თედო ღლონტი.

ეს არის პასუხი?!

ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე „ერთობა“-მ არ გაგვცა არსებითი პასუხი. პირველი კითხვა იყო: ააცდინეთ თუ არა თქვენ (ე. ი. სოციალდემოკრატებმა) ქართველი ერი ეროვნულ პოლიტიკას. ნაცვლად პირდაპირი პასუხისა „ერთობა“ ცნებათა „დიალექტიკით“ ლამობს არასასიამოვნო კითხვის თავიდან მოშორებას. „ერთობა“ მოითხოვს ცნებათა ისეთ განმარტებას, რომელიც ეროვნულის და ნაციონალისტურის დაპირდაპირებაში უნდა იხატებოდეს კანონიერია ეს? რა თქმა უნდა არა. ქართული სიტყვა ეროვნული ნიშნავს ნაციონალისტურსაც. მხოლოდ უკანასკნელს განსაკუთრებული, ასე ვთქვათ, ვოლიუნტარისტული მხარე თან ახლავს და თუ ქართულად გვინდა ხაზი გაუსვათ თუ ეს თვით კონტექსტიდან არაა ნათელი, მაშინ ეროვნულს დაუმატებთ ხოლმე სიტყვას „ვიწრო“ (ეროვნული). „ერთობამ“ უეჭველია იცის ყველა ეს და დარწმუნებული უნდა იყოს რომ „ეროვნული პოლიტიკა“ ჩვენ გვესმის როგორც ნაციონალური და არა ნაციონალისტური ამ სიტყვის სპეციფიურ მნიშვნელობით, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ და რომელიც „ერთობა“-ს აქვს მხედველობაში. მაგრამ განა ეს არის სადავო საკითხი? ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან სწორედ იმის დამტკიცებას, რომ თქვენი პოლიტიკა იყო ნაციონალური და არა ნაციონალისტური უკანასკნელში ჩვენ ეჭვი არ გვებადება და თქვენში ნაციონალისტურ პოლიტიკის მოტრფიალეთა აღმოჩენა დაშნაკელებისთვის მიგვინდვია.

ჩვენ თანახმა ვართ, რომ თქვენ არასოდეს არ აწარმოებდით ნაციონალისტურ პოლიტიკას, მაგრამ ამას არც ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან, რადგან იდეა ფედერალიზმისა სწორედ უარყოფს აგრესიულ ნაციონალიზმს და მოითხოვს ეროვნულ სოლიდარობას, როგორც საფუძველს ორგანიულ და არა ატომისტურ მთლიანობისა „ეროვნული პოლიტიკა ნაციონალისტების უარყოფილია, ეროვნული პოლიტიკა დემოკრატიის აღიარებულია“ ამბობს „ერთობა“ მანიფესტის სტილით. ესაა პასუხი ჩემ კითხვაზე?!! ჩვენ ვითხოვთ საბუთებს და არა სიტყვებს. „ერთობა“ ცდილობს „ონუს პრობანდი“ ჩვენ დაგვაკისროს. კეთილი ბატონებო; მაგრამ არ მგონია, რომ თქვენთვის უფრო ადვილი არ იყოს გულახდილად აღიაროთ თქვენი შეცდომა, ვიდრე თავი იმართლოთ. ან ერთი, ან მეორე თუ არ აირჩიეთ უახლოეს ხანში მაშინ ვიღებთ ჩვენს თავზე „ონუს პრობანდის“-ს და მუხლობრივ შეუდგებით იმის აღნუსხვას, რომ სწორედ ქართველი დემოკრატია ააცდინეთ თქვენ ნაციონალურს (არა ნაციონალისტურს) გზას.

არსებითი პასუხი „ბატონებო სადღესო კითხვებზე და ცნებათა დიალექტიკაზე, კამათი თუ გნებავთ მაგის დროც მოვა.

მეორე კითხვა იყო: „არის თუ არა ქართველი ერი მომზადებული შექმნილ მდგომარეობის თავიდან ასაცდენათ?“ კონკრეტიული კითხვა არ ითმენს ვნებათა სფეროში გაშლას და აქ „ერთობა“-მ სხვა გზა აირჩია კითხვისგან თავის დასაღწევად: შედარებითი მეთოდი. „აბა შეადაროს შ. ნუცუბიძემ რევოლიუციის საერთო მდგომარეობა რუსეთში და ჩვენში“.

ამბობს „ერთობა“. ე. ი. მე თუ გლახა ვარ, სხვა ჩემზე უარესია. ბატონებო, შედარებითი მეთოდი დიდი მეცნიერულ ღირსების არი, მაგრამ ყველაფერს ზომიერი უნდა და კომიკური ხასიათი არ უნდა მივცეთ. სწორედ ასეთი კომიზმი აქვს მხედველობაში ქართულ თქმულებას „ყველას სჯობიან ძის დებში“-ო, ვაი თუ დები მახინჯებია?! მე გეკითხებით მზად ხართ, თუ არა იმ საფრთხისათვის, რომელიც დაკავშირებულია ეროვნულ არსებობასთან. „ერთობას“ თითქოს ვერ გაუგია რაზე ეკითხებიან და რუსეთზე მიგვითითებს—აი ის ჩემზე მახინჯიაო. დამერწმუნეთ ბატონებო, რომ ერის სვე-ბედის გადამწყვეტი პოლიტიკური პარტია უფრო სერიოზულ საბუთებზე უნდა ამყარებდეს თავის მსჯელობას. გეტყვით გულ-ახდილად მე ასეთს უმწეობას მსჯელობაში არ მოველოდი. ძალა არ შემწევს რომ უფრო არსებითი პასუხი მოგთხოვოთ: საცოდაობამ ამიტანა და სიბრალულმა შემიპყრო.

ან კიდევ „დაამტკიცოს ბ. შ. ნუცუბიძემ, …რომ ნაციონალისტური პოლიტიკის წარმოება უკეთეს პირობებს შექმნიდა ჩვენში და უკეთეს მომზადებას მოგვცემდა“-ო. აქაც იგივე ცდაა ონუს პრობანდის ჩვენზე გადმოტანის და აქაც ისევე გიპასუხებთ როგორც ზევით: თუ იტყვით ჩვენ ვერაფერის, ან თითქმის ვერაფრის გაკეთება ვერა შევძელით მაშინ მოგახსენებთ, თუ რის გაკეთება შეიძლებოდა.

აქ „ერთობა“ ჩქარობს ჩვენს შეცდომებზე მიგვითითოს და ჯარის ნაციონალიზაციის საკითხს ეხება. რადგან ეს ერთი შემთხვევაა, როდესაც „ერთობა“ ფაქტზე მიგვითითებს იძულებული ვართ მას შემდეგი მოვახსენოთ: ქართული ჯარის ნაციონალიზაცია მაშინ დაიწყო, როდესაც თქვენ ს.-დ—მა ის შესაძლებლად აღიარეთ, მაგრამ თქვენი შეცდომა სწორედ ის არი, რომ თქვენ შეუდექით ჯარის ნაციონალიზაციას, როდესაც ეს უკვე შეუძლებელი იყო, როდესაც ჩვენში ჯარმა უკვე დაჰკარგა როგორც საზოგადოდ ჯარის აგრეთვე ნაციონალურ ჯარის თვისებები. თავის დროზე კი, როდესაც ჩვენ სოც.-ფედერალისტები გირჩევდით სწორე გზაზე დამდგარიყავით და მომავალი უბედურება თავიდან აგეცდინათ, თქვენ ყური არ გვათხოვეთ და ჩვენი წინადადება კონტრ-რევოლიუციონურად გამოაცხადეთ.

ნუ თუ „ერთობამ“ ყველა ეს არ იცის, ნუ თუ ერთხელ მაინც არ შეიძლება პასუხისმგებელი მიმდინარეობამ იქონიოს გამბედაობა და სთქვას რაც იყო ე. ი. აღიაროს თავისი შეცდომა ნუ თუ აუცილებლად საჭიროა ერთხელ კიდევ მოვაგონოთ ბ. გეგეჭკორის და სხვ. განცხადება ქართულ ჯარის ნაციონალიზაციის შესახებ. ჩამოხრჩობილის სახლში ბაწარზე არ ლაპარაკობენ; საჭირო იყო ეროვნულ პოლიტიკის უარისმყოფელთ, ქართველი დემოკრატიის რუსეთის სამსხვერპლოზე მიმტანთ, ხმა არ ამოეღოთ ჯარის ნაციონალიზაციაზე რადგან სწორედ თქვენი და არა სხვისი მოქმედების ბრალია, რომ ქართველ ხალხს რეალურ ძალის შექმნა დიდ პრობლემად გაუხდა.

„ჩვენ არ ვამბობთ, რომ შეცდომა არ მოგვივაო“ ამბობს „ერთობა“. რა მოხდება მომავალში ამაზე მაშინ ვიბაასოთ, მხოლოდ იქონიეთ მოქალაქობრივი სითამამე და აღიარეთ ის შეცდომები, რომელიც უკვე მოგივიდათ.

შ. ნუცუბიძე.

სოხუმის ოლქში

(შთაბეჭდილება*)

როგორც უკვე მოვიხსენიე, გლეხთა ყრილობა 4 მარტს გაიხსნა, არაჩვეულებრივი ატმოსფერა იყო, სხვა და სხვა მხრიდან მოდიოდა ხმები: აქედან ამდენი შეიარაღებული აფხაზი მოდის ეშბას (ბოლშევიკია) მეთაურობით, იქიდან კიდევ ეხზადებიანო და სხვ. შესაძლებელი იყო შეიარაღებული შეტაკება, ყრილობის ჩაშლა და ამ რიგად.

მობოლშევიკე ხალხის მეთაურებად გამოდიოდნენ აფხაზები ლაკობა და ეშბა, ორთავე ინტელიგენტი ადამიანი. მაგრამ როდესაც მათ „გამოსვლას“ სოხუმის უბედურება მოჰყვა, მიატოვეს ქალაქი და სხვაგან გადასახლდნენ, რადგან ადგილობრივ მცხოვრებლებში, განსაკუთრებით ქალაქში, არავითარი გავლენა არა ჰქონიათ. თვითაც დარცხვენილნი იყვნენ, რადგან არ მოელოდნენ ასეთს დამარცხებას და იწყეს თავის მართლება: მეზღვაურებმა ჩვენდა უნებლიედ ჩაიდინეს ეს საქმე და ემუხვარის მკვლელობა ჩვენი მოქმედების შედეგი არააო, მაგრამ სხვაგვარად უცქეროდნენ საკითხს საერთოდ მცხოვრებნი და აფხაზები, ესენი მთავარ დამნაშავედ სთვლიდნენ ეშბას და მის დამქაშებს, რადგან აქ სისხლის აღება ისევ ძალაშია, მოკლულ ემუხვარის ნათესავები ემუქრებოდნენ მას და ამბობდნენ კიდევაც, რომ სადაც შეხვდებოდნენ—მოჰკლავდნენ. ასე რომ ეშბას ჩამოსვლა გამოიწვევდა სისხლის ღვრას აფხაზებს შორისაც და მეგრელთა შუაც, მაგრამ ქალაქის თავის ბენია ჩხიკვიშვილის და რევოლიუციონურ ორგანიზაციების მეცადინეობით ეშბა ყრილობას არ დასწრებია, თუმცა ამბობდა თურმე: მე ჩემი შეიარაღებული ხალხით მოვალ, რათა თავად აზნაურობამ მიწის საკითხის გადაწყვეტის დროს რაიმე გავლენა არ მოახდინოსო გარდა ამისა, როგორც რევოლიუციონერმა, ხალხის წინაშე თავი უნდა ვიმართლოვო. ეს უბედურება თავიდან აგვცდა.

ყრილობაზე პირველად გაურკვეველი იყო ძალთა განწყობილება, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბოლშევიკებს ნამდვილად არც ერთი მომუშავე არ ჰყოლიათ და სამიოდე ინტელიგენტი გზა-აბნეულად მოქმედებდა, არც ერთი საკითხი არ ყოფილა, რომ ისინი ერთმანეთში შეთანხმებულად გამოსულიყვნენ. არც ერთი მათი წინადადება მიღებული არ იქმნა და ძლიერ გულგატეხილები უკანასკნელ სხდომებზე აღარც კი დადიოდნენ. ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს მენშევიკი ბენია ჩხიკვიშვილი, რაიც უკვე ერთნაირ იმედს გვაძლევდა, რომ საქმე სასურველად დამთავრდებოდა.

ყრილობის გახსნამდე გავმართეთ თათბირი ყველა რევოლიუციონურ-სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენლებისა და აფხაზებისა. შემუშავებულ იქმნა დეკლარაცია რევოლიუციონურ დემოკრატიის სახელით, რადგან ცალკე რომლისამე პარტიის გამოსვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. ეს დეკლარაცია წაკითხულ იქმნა ყრილობაზე.

ყრილობაზე უდიდესი კამათი გამოიწვია მომენტის და მართვა-გამგეობის საკითხმა. ერთხმად აღიარებულ იქმნა, რომ აფხაზეთი შინაურ საქმეებში დამოუკიდებელ იქნება, უნდა შესდგეს აფხაზეთის სახალხო საბჭო, რომელიც ძალა-უფლების მქონებელი იქნება აფხაზეთის (სოხუმის ოლქის) ტერიტორიაზე. ამასთანავე ერთად აღიარებულ იქმნა, რომ როგორც დანარჩენ ერებისათვის, ისე მათთვისაც უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება სეიმია და აფხაზეთი შედის ამიერკავკასიის რესპუბლიკაში. უთანხმოება იყო საბჭოს შემადგენლობის შესახებ, აფხაზები მოითხოვდნენ ამ საბჭოში ჰყოლოდათ ორი მესამედი, ხოლო დანარჩენ ერებს ერთი მესამედი. ამაზე, რასაკვირველია ვერავინ დაეთანხმებოდა, რადგან ეს აშკარა უსამართლობა იყო, განსაკუთრებით მიტომ, რომ თვით აფხაზები უმცირესობას შეადგენენ ოლქში და არც მათი ინტერესი მოითხოვდა სხვის დაჩაგვრას. კამათი სამს დღეს გაგრძელდა. ბოლოს ჩავერიეთ დელეგაცია, დავსწერეთ რეზოლიუცია, რომელიც ცოტაოდენის ცვლილებით მიიღო ყველა ეროვნებამ, როდესაც ცალ-ცალკე წავუკითხეთ. ბოლოს თვით ყრილობაზე ერთხმად მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელიც დაახლოებით შემდეგია: სოხუმის ოლქი სეიმს სცნობს უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებად. აფხაზეთი შინაურ საქმეებში დამოუკიდებელია, სახალხო საბჭო ირჩევა ოთხფორმულიან საარჩევნო წესით, რომელშიაც მონაწილეობს ყველა, განურჩევლად ეროვნების, სქესის და სარწმუნოებისა. ამნაირად მოხდა მორიგება; რომელმაც განსაზღვრულ კალაპოტში ჩააყენა ყრილობის მუშაობა და სხვა რთული საკითხები უფრო ადვილად გადასწყდა.

სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახელს დიდი გასავალი ჰქონდა, ყველანი ძლიერ პატივისცემით და ყურადღებით ისმენდნენ ჩვენს სიტყვას, რასაც თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა. თვით ყრილობაზე ხშირად [illegible] ლაპარაკი. უმთავრესი მუშაობა სწარმოებდა კერძო თათბირებზე, რომლებსაც ესწრებოდნენ სხვა და სხვა ნაწილების („უ[illegible] ტკების“) დელეგატები.

მიწის საკითხიც შესაფერისად გა დასწყდა: მთელი მიწა გადადის მშრომელთა ხელში საადგილ-მამულო კომიტეტების საშუალებით. სეიმის გადაწყვეტილებამდე (მაშინ არ ვიცოდით, რომ სეიმს უკვე დაედასტურებინა მიწის კანონ-პროექტი) წესდება განსაზღვრული ნორმა, რომლის მიხედვით მიწას მიიღებენ ყველანი, სხვათა შორის ყოფილი თავად-აზნაურობა და მემამულენიც, იჯარის ფასის მაგივრად წესდება სამიწო გადასახადი საადგილ-მამულო კომიტეტების ფონდის სასარგებლოდ და სხვა თავისუფალ ფონდიდან უპირველესად ყო უნდა დაკმაყოფილებულ იქმნან რიბი მკვიდრი გლეხები და მახაჯირები, თუ სამშობლოში რუნება მოისურვეს.

მოიჯარეთა საკითხის საბო გადაწყვეტა, თუ რა პირობებ ილებენ ისინი მიწას—ყრილობამ მის კომპეტენციას მიაკუთვნეს. რ ნადაც ვიცით, ეს საკითხი ძლ ბუნდოვანად არის კანონპროექტ აღნიშნული. მისი სწრაფად გადაწყვე ტა კი აუცილებელია. მას უცდის მთელი ოლქი, სადაც ძლიერ მრავლად მოიპოვება მოიჯარე გლეხობა. თუ ეს საქმე არ მოგვარდა—აფხაზეთში ჩხუბისა და დავიდარაბის ნიადაგი ყოველთვის დარჩება და პროვოკაცია ადვილად იპოვნის ნიადაგს. ამას უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ მათ, ვისთვისაც ჯერ არს.

როგორც უკვე მოვიხსენიე, დელეგაციას დიდის პატივისცემით გვეპყრობოდნენ. დ. სულიაშვილმა პირველ სხდომაზედ მიმართა მისალმებით. წამოსვლისას გამოსათხოვარ სიტყვით მივმართე მე. აღტაცებით შეგვხვდნენ და ოვაციები გაგვიმართეს. ჩემს სიტყვაზე მშვენიერი სიტყვით მიპასუხა ერთმა აფხაზმა გლეხმა, რომელმაც აღნიშნა ქართველ-აფხაზთა ძმობა-ერთობა. საგულისხმოა, რომ უკვე თითქმის აღარავითარი კვალი აღარ სჩანს ჩრდილოეთ კავკასიის ან სხვა რაიმე ორიენტაციისა. ყველანი ერთხმა აღიარებენ, რომ სეიმის და ამიერკავკასიის რესპუბლიკის გარეშე მათ ცხოვრება არ შეუძლიანთ. თუმც ბოლოს და ბოლოს, რასაკვირველია ყველაფერს ძალთა განწყობილებ სწყვეტს.

საგულისხმოა გარეგანი შეხედულებ ყრილობისა. ყველას ლამაზად, კარგა აცვია: ჩოხა და უეჭველად ნაბადი იარაღით. რამდენიმე სოფელში ვიყავით და არც იქ, არც ყრილობაზე არ შეგვხვედრია დახეულ ტანისამოსიანი გლეხი. ეტყობა აქეთკენ გარეგნობას დიდ ყურადღებას აქცევენ და დოვლათიანი ხალხიც არის. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. სრულიად გაუზვიადებლად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყოველი აფხაზი და მეგრელი საუკეთესო ორატორია. პირდაპირ საკვირველია: გამოდის სოფლად ან ამ ყრილობაზე უბრალო გლეხი, რომლის სიტყვა თარგმანშიაც არ ჰკარგავს სილამაზეს. მერე რანაირი პოზა, რანაირი ჟესტები ლაპარაკის დროს! თითქოს პარლამენტში აღზრდილ ადამიანებთან გქონდეთ საქმე და არა სწავლა-მიუღებელ გლეხებთან. ან ერთხელ შეჩერდეს, წასცდეს რამე, სიტყვას ძებნა დაუწყოს, თქვენც არ მომიკვდეთ! ლაპარაკობს წყალივით.

მობილიზაციის საქმე აქეთკენ არეულობის გამო შეჩერებული იყო. მაგრამ სოფლადაც, ყრილობაზედაც ამ საგანს სერიოზულად ეკიდებოდნენ. არავინ გამოსულა, რომ შორეულადაც კი უარეყოს ბათომის დასაცველად წასვლის საჭიროება. კარგი სურათი იყო სოფ. დარანდაში: ერთმა ოთხმოცი წლის მოხუცმა სთქვა, თუ კი საჭირო იქნება, მეც გადავიკიდებ თოფს, ერთს მტერს მაინც ვიმსხვერპლებო.

თვით გაბოლშევიკებულნიც ვერ უარყოფენ თავდაცვის საჭიროებას. ეს დამტკიცდა ყრილობაზედაც და სოხუმში გამართულ მიტინგზედაც. სხვათა შორის საინტერესო ლაპარაკი მქონდა წამოსვლის შემდეგ სვანებთან მოტორიან ნავზე. ისინი ამ ოლქში სამუშაოდ წამოსულიყვნენ. მათი მეთაური „ბოლშევიკს“ უწოდებდა თავს.

— რანაირად გამეხარდა, ამხანაგო თქვენ რომ ქართულად დაიწყეთ ლაპარაკი. მეგრული იმდენად არ მესმის და როცა გაგებულად აუხსენით ხალხს ბათომისთვის ბრძოლის საჭიროება

---

*) იხ. „სახ. ს.“ № 126.

N22
ეროვნული ბიბლიოთეკა

გული განათლდა—მეუბნება იგი. და „ბოლშევიკი“ იგონებს თამარ მეფეს, რომელსაც აფხაზეთი და მთლად ისტორიული საქართველო ემორჩილებოდა...

დელეგაცია თითქმის ათი დღეს იყო სოხუმში. ყრილობაზე ხსენებული მნიშვნელოვანი საკითხები რომ გადასწყდა, ჩვენი მოვალეობა შესრულებულად ჩავთვალეთ და უკანასკნელ სხდომისათვის აღარ დაგვიცდია—ცხრა მარტს წამოვედით ამ ტურფა მხარიდან, სადაც ამდენი სილამაზე და სიკეკლუცეა, ხოლო ადამიანები მოუსვენრად არიან და დაობენ. მოუთმენლად ველოდით აქ ჩამოსვლას, რადგან ომის შემდეგ საქმე ისე არეულდარეულა, რომ გაზეთები სოხუმში ძლიერ იშვიათად მოდის. ხალხი იკვებება უბრალო დეპეშებით, რომელიც, რასაკვირველია ამისთანა მომენტში საკმარისი არაა. უეჭველად დიდი მნიშვნელობა ექნება ოლქისათვის სოხუმში რომ ქართული გაზეთი გამოიცეს. უცილებელია ეს დიდ საქმესაც გააკეთებს. მაგრამ ეს სხვა საკითხია და აქ გავათავებ, რადგან წერილი ისედაც გამივრცელდა.

ქ. რაჭველიშვილი.

ამიერკავკასიის საზღვრების დაცვა.

ამიერკავკასიის პარლამენტი ოფიციალურად იმ საზღვრების დაცვის ნიადაგზე სდგას, რომლებიც ომამდე არსებობდა. ოსმალეთი კი ბათომისა, ყარსისა და არტაანის ოლქებსა თხოულობს, ე. ი. თხოულობს ისეთ ადგილებს, ურომლისოდაც ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობა ფიქციად გადაიქცევა და მთელი ჩვენი ქვეყანა ოსმალეთის საწველ ფურად გახდება. თუ ამიერკავკასიის ერებისთვის ამიერკავკასია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო რაიმე ღირებულებას წარმოადგენს, თუ ამიერკავკასიის ყველა ერი ერთნაირად არის დაინტერესებული იმით, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დარჩეს, მაშინ ჩვენს შორის არ უნდა იყოს არც ერთი ისეთი ერი, რომელიც ამიერკავკასიის საზღვრების დაცვაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებს.

არც ისეთი მდგომარეობაა ეხლა, რომ სინამდვილის გადაფურჩვა შეიძლებოდეს. როდესაც დასმულია საკითხი ამიერკავკასიის ერთა ყოფნა არ ყოფნისა, დამალული და დაფარული არაფერი არ უნდა იყოს. დეკლარაციებსა და რეზოლიუციებს აღარავითარი ფასი არა აქვს. ამიერკავკასიის ერნი საზოგადოდ და ქართველი ერი კერძოდ დიდს პოლიტიკურს სიბეცეს გამოიჩენენ, თუ მაშინ, როდესაც დასმულია საკითხი ამიერკავკასიის ყოფნა არ ყოფნისა, ანგარიშს არ გაუწევენ ფაქტიურად შექმნილ მდგომარეობას და ილლიუზიებით თავს მოიტყუებენ.

ამიერკავკასიის მთლიანობას, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას დღეს ოსმალეთი ემუქრება. ვისთვისაც ამიერკავკასია რაიმე ღირებულებას წარმოადგენს, აუცილებლად იარაღით ხელში უნდა შეებრძოლოს ოსმალეთს, თუ მან ჩვენი ქვეყნის ნაწილების ოკუპაცია მოისურვა. შეუძლებელია ოსმალეთთან ბრძოლის დროს ისეთი მდგომარეობა შეიქმნეს, რომ ამიერკავკასიის შიგნითვე რომელიმე ერი პასიურად შეხვდეს ამ ბრძოლას ან კიდევ წინააღმდეგობა გაუწიოს იმათ, ვინც ამიერკავკასიის მთლიანობას იცავს. ეს სიკვდილი იქნება როგორც ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობისა და დამოუკიდებლობისა, ისე ღალატი და გაყიდვა იმ ერისა, რომელიც გულწრფელად არის დაინტერესებული სახელმწიფოებრივი საზღვრების დაცვით. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამიერკავკასიის არც ერთი ერისთვის ხელსაყრელი არ არის ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა და მთლიანობის მოსპობა. ადვილად შესაძლებელია მაჰმადიანთა წრეებში გაბატონებული იყოს ისეთი წარმოდგენაც, რომ ოსმალეთის მიერ ოკუპაცია ამიერკავკასიის ნაწილებისა მაჰმადიანებისთვის სასარგებლოა, მაგრამ ამნაირ აზროვნებას ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ თვით მაჰმადიანთა პოლიტიკურ მოუმწიფებლობას მივაწერთ. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და მთლიანობა ისეთი რამ არის, რაც უდიდეს ეკონომიურსა და სოციალურ პერსპექტივებს უშლის ამიერკავკასიის ყველა ერს. თვით მაჰმადიან მცხოვრებთა მდგომარეობაც ამნაირ სახელმწიფოში ისეთი იქნება, რომ განუსაზღვრელ პოლიტიკურისა და ეკონომიური პროგრესის, კულტურული ზრდის ასპარეზი თავისუფლად ექნება გადაშლილი. თუ ეს მაჰმადიანთა ზოგიერთ წრეებში არ ესმით, თუ მათში ეს პოლიტიკური შეგნება დახშულია, ჩვენ აღარაფერი შეგვიძლიან. ძალით ხომ ვერ შეგვიძლიან პოლიტიკური შეგნება მოვახვიოთ მათ, ვისაც ჯერაც კი საშუალო საუკუნოების ტრადიციებისაგან ვერ გაუნთავისუფლებია თავი!

თუ ამიერკავკასიის მაჰმადიანებს ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვრებში ყოფნა ურჩევნიათ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, დანარჩენი ერები ძალათ ვერ აიძულებენ მათ ამ თავიანთ მისწრაფებასა და ტენდენციებს გადაუხვიონ. მაგრამ არც ისეთი მდგომარეობა შეიძლება დამყარდეს, რომ ილიუზიები შეიქმნას და საქართველოს სასიცოცხლო პოლიტიკური ინტერესები მსხვერპლად შეეწიროს ამ ილიუზიებს. **საქართველოს არა სურს პოლიტიკური მონობა, საქართველო ოსმალეთის მონად არასოდეს არ გადაიქცევა.** საქართველომ იმიტომ არ მოიცილა რუსეთის მეფის ასის წლის მონობის უღელი, რომ ახალი უღელი დაიდოს. ოსმალეთმა კიდეც რომ მოახერხოს და ძალა საქართველოს წინააღმდეგობისა ეხლანდელი ომის პროცესში გასტეხოს,—ოსმალეთმა ეს კიდეც რომ მოახერხოს, მაინც თავის თავს გამარჯვებულად ვერ ჩასთვლის, რადგანაც ყოველს ქართველში მაშინ იგი დაუძინებელ, სასტიკ მტერს უნდა ჰხედავდეს. რუსეთის ძლიერმა სახელმწიფოებრივმა მექანიზმმა ვერ მოჰკლა საქართველო და ოსმალეთი უფრო ნაკლებ ძალას წარმოადგენს ამ მხრით.

ჩვენ გვგონია, რომ ამიერკავკასიის ყველა ერი, რომელსაც პოლიტიკური გონიერობა და შეგნება აქვს, ასე უნდა ფიქრობდეს. მაგრამ თუ ეს ასე არ არის, ეხლავე უნდა ვიცოდეთ. უნდა ვიცოდეთ, ოსმალეთთან ბრძოლაში ამიერკავკასიის ერნი ჩვენთან არიან თუ ჩვენს წინააღმდეგ. თუ ჩვენთან არიან, მაშინ ერთად უნდა მოაწყოთ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა და მთლიანობის დაცვა, თუ ჩვენთან არ არიან მაშინ დაე თითონ მოაგვარონ თავიანთი დამოკიდებულება ოსმალეთთან როგორცა ჰსურთ და საქართველოს ნუღარ ითხოვენ პოლიტიკურ ავანტიურაში. თუ ამიერკავკასიის მთლიანობისთვისა და დამოუკიდებლობისთვის არავითარი რეალური საფუძველი არა ყოფილა, დაე ეს ეხლავე გამოჩნდეს, რომ საქართველომ მოახერხოს, გამოჰყოს თავისი ტერიტორია და თითონვე დაიცვას თავისი ქვეყნის ხელშეუხებლობა გარეშე მტრის შემოსევისაგან. ყოველი ქართველი საქართველოს ყოველ არშინ მიწას ზედ დააკვდება და სხვას კი არ დაუთმობს. ქართველი ხალხი თავის თავისუფლებას მსხვერპლად შეეწირება და უბრძოლველად არავის დაუთმობს იმას, რაც ესოდენი ბრძოლით არის მოპოვებული. თუ ამიერკავკასიის ერებს ჩვენთან ერთად სიარული არა ჰსურთ, თუ საფუძველშივე, საუბედუროდ, ჩაკლულია შესაძლებლობა ამიერკავკასიის მთლიანობისა და დამოუკიდებლობისა, თუ ჩვენში არიან ისეთები, რომელთაც ოსმალეთის ბატონობა ურჩევნიათ ამიერკავკასიის მთლიანობასა და დამოუკიდებლობასა, მაშინ დაე ფიქტიური კავშირი ეხლავე გაწყდეს და თვითეული ჩვენთაგანი თავის დამოუკიდებელი გზით წავიდეს.

საქართველოს არავის არაფერს ედავება, მაგრამ არც თავის ტერიტორიას და არც თავის თავისუფლებას უბრძოლველად არავის დაუთმობს. ვისაც ჩვენი ძმობა და მეგობრობა უნდა, ჩვენთან იქნება და არა ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენთან იქნება საქმით და არა სიტყვით. ვისაც გულში ჩვენი მტრობა და ღალატი უდევს, ის, უეჭველია, მუხანათურად დაგვცემს მახვილს ზურგში მაშინ, როდესაც ჩვენ გარეშე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ვემზადებით. ჩვენ ნაძალადევი მეგობრობა არ გვინდა, მაგრამ კატეგორიულად კი მოვითხოვთ, საბედისწერო მომენტში დაფარული და დამალული არაფერი იყოს...

არჩ. ჯაჯანაშვილი.

შეტაკება ჩაქვასთან

ჩაქვიდან ცნობა მოვიდა, რომ ჩაქვის თავს ჩასაფრებულ აჭარლებსა და ჩვენი რაზმელების შორის მოხდა შეტაკება. რადგანაც აჭარლებს მაღლობზე უჭირავთ პოზიციები და რაზმის განკარგულებაში არტილერია არ არის, ჩვენი რაზმისთვის იერიშის მიტანა მოუხერხებელია. მიღებულია სასწრაფო ზომები აჭარლების განსადევნად დაჭერილი პოზიციებიდან. სოციალისტ-ფედერალისტთა რაზმში მსუბუქად არიან დაჭრილნი ქემელაშვილი და ერთი რაზმელი რომლის გვარი ჯერ გამორკვეული არ არის. აჭარლებს პირველად აუტეხიათ სროლა. ისინი უმეტეს წილად ბერდანის სისტემის თოფებით არიან შეიარაღებულნი.

არ დაგვივიწყოთ!..

თუ ჩვენი დროშა ძირს არ დაეცა.
თვის მწვერვალს შეჰრჩა ქებად მაღალთა
და საუკუნო ძლევნად გადაეცა
თავისუფლების მომავალ ძალთა;
თუ შეგეღიმათ ბედით ბაგენი,
ახალი მზის ქვეშ ცხოვრება იწყოთ,—
ჩვენც მოგვიგონეთ მის მოწამენი,
არ დაგვივიწყოთ! არ დაგვივიწყოთ!

თავისუფლების ტკბილ გაზაფხულზე,
ფშატმა რო გასცეს ნაზი სურნელი.
როს ნორჩმა მწვანემ საფლავთა გულზე.
განკურნოს სევდა განუკურნელი,
როს დაგემკვიდროთ სითამამენი,
თავისუფლება უხვად მიიწყოთ,
ჩვენც მოგვიგონეთ მის მოწამენი—
არ დაგვივიწყოთ! არ დაგვივიწყოთ!

არ დაგვივიწყოთ და თან იცოდეთ,
არც თქვენზე ნაკლებ ვეტფოდით მზესა
და, თუ სიცოცხლეს სიკვდილით ვცოდეთ,
თავისუფლება გვთხოვდა იმ დღესა.
და თუ შეგემკოთ ღიმით ბაგენი,
ახალი მზის ქვეშ ცხოვრება იწყოთ.
ჩვენც მოგვიგონეთ მის მოწამენი—
არ დაგვივიწყოთ! არ დაგვივიწყოთ!

ი. მჭედლიშვილი.

ტფილისი, 1918 წ. 15 მარტი.

ახალი ამბავი

◆ **სამეურნეო საზ. კრება** დღეს საღ. 7 ს. ზაქტრეგერი წაიკითხავს მოხსენებას „შეშის კოოპერატივის შესახებ“.

◆ **სტუდენტების ჩამოსვლა.** ამ დღეებში რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებიდან ჩამოვიდნენ ქართველი სტუდენტები, რომელთაც გზაში დიდი დაბრკოლება და ბევრი გაჭირვება გადაუტანიათ. არმავირში ისინი დაუჭერიათ ბოლშევიკებს და როგორც ინტელიგენტებს დახვრეტას უპირებდნენ თურმე, თუმცა ყველას მოწმობა ჰქონია სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტისაგან. ბოლოს რის ვაი-ვაგლახით ადგილობრივ ქართველთა ორგანიზაციების მეოხებით ისინი გაუთავისუფლებიათ. როგორც არმავირის, ისე როსტოვის ქართველობას დიდი ნივთიერი დახმარება გაუწევია სამშობლოსაკენ მომავალ სტუდენტებისთვის.

◆ **სდგება ქართული არტილლერიის ბრიგადა.** მოვიწვევთ თავისუფალ მოხალისეთ ჩაეწერონ. საჭირონი არიან აგრეთვე არტილერიის ტეხნიკოსები, გამოცდილი საქმის მწარმოებლები. მწერლები, ხელოსნები, ექიმები, მეითლები. ჩაწერა შეიძლება 11—1 საათამდე ნაშუადღევზედ მესამე ქართულ დივიზიის შტაბის ბინაზედ. ველგიისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე.

◆ **სამუსიკო დილა.** კვირას 18 მარტს დილის 12 საათზე ტფ. ქართ. ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სკოლაში გაიმართება მოწაფეთა მეორე მეორე საჯარო სამუსიკო დილა.

◆ **რკ. გზის მოსამს. კრება.** კვირას, 18 მარტს, დილის 12 საათზე ქართულ კლუბში რკინის გზებზე ქართველ მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს კრებაა დანიშნული. სხვათა შორის კავშირის წესდების პროექტი იქნება განხილული.

◆ **ეროვნულ საბჭოს სატეხნიკო სექციაში.** სამშაბათს, 20 მარტს, საღ. 6 საათზე ფრეილინის ქ. № 11, შესდგება კრება სატეხნიკო სექციისა, რომელზედაც ინჟინერი გრ. გეგეჭკორი წაიკითხავს მოხსენებას ბორჯომის მამულის სამრეწველო დაწესებულებების მდგომარეობაზე. კრებაზე მოწვეულნი არიან ეროვნულ საბჭოს სხვა სექციებიც. დასწრება შეუძლიანთ სექციის არა წევრთაც.

◆ **ბოლშევიკური ორგანოები.** „კავკაზსკაია პრავდა“ და „ბანვორი“ დახურეს. ყველა სტამბას აეკრძალეს ბოლშევიკურ გაზეთების დაბეჭდვა.

◆ **მკვლელობა.** 12 მარტს მტკვრის ნაპირას ვერის ხიდის ქვემოდ იპოვეს უცნობი კაცის გვამი, რომელსაც ყელი ჰქონდა გამოჭრილი. ცხედარი მიხეილის საავადმყოფოშია.

◆ **ტფილისის დამცველმა შტაბმა** შეიპყრო ტყვის ვაჭრობისათვის ჟანზალბოლოტი და ორი მაჰმადიანი იოსა მამედ-მუსა-ოღლი და დურსუმ მამედ-მუსა-ოღლი; კერვალიძე ქურდობისათვის. იარაღით ვაჭრობისათვის: სასტუმრო „ფორუზი“-ს მოსამსახურე, ნ. ჟურული და არუტინოვი იგივე ძიძიაძე, უკანასკნელმა დააპირა გაქცევა მაგრამ იგი მოჰკლეს. ქუჩაში სროლისათვის ს. შევჩენკო ერთი თვით.

◆ **ბათომში ჩასვლა** შეიძლება მხოლოდ ქალაქის კომენდანტის ნებართვით და ეს მიენდო იმას ციხე-სიმაგრის უფროსისაგან.

◆ **რადიო დეპეშა** კონსტანციდან სევასტოპოლში, შემდეგ ტფილისში—სასახლეში. ისპანიის ელჩი იუწყება, რომ ტყვეები უნდა მოვიდნენ სულინაში, სადაც მოხდება იმათი გადაცვლა.

◆ **მიუნხენში გარდაიცვალა** ცნობილი დრამ. ტურგი ფონ ვედეკინდი.

◆ **ბათომის და არტაანის შესახებ.** საოლქო ორგანო „კარსკი ვესტნიკში“ დაბეჭდილია: „მოქალაქენო! ბნელი ელემენტები და თავზარდაცემული მცხოვრებლები ქალაქში ავრცელებენ ხმებს, რომ ბათომი აიღეს გერმანელებმა და ოსმალებმა კიდევ არტაანი. ყველა ეს პროვოკატორი და უპასუხისმგებლო მცხოვრები ჩვენ მიერ შეპყრობილი იქნება და რევოლიუციონური ტრიბუნალის მიერ გასამართლებული. თქვენი ვალია იბრძოლოთ სამშობლოს მოღალატეების წინააღმდეგ, აუწყოთ შტაბს, თუ იცით, საიდან ვრცელდება ეს ყალბი ცნობები. ციხე-სიმაგრის უფროსი კორომეიცევი და სამხედრო რაიონის უფროსი არზუმანოვი“.

◆ **საბავშო ლიტერატურის კომისიის კრება** დღეს, 17 მარტს, საღამოს 5 საათზე „ნაკადულის“ რედაქციაში დანიშნულია საბავშო ლიტერატურის კომისიის კრება. ეროვნული საბჭოს განათლების სექცია სთხოვს კომისიის ყველა წევრს უსათუოდ დაესწროს ხსენებულ კრებას.

◆ **ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი.** კომისარიატს დეპეშით ატყობინებს: როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები გვპირდებიან იმათი დახმარებით უნდა აღვადგინოთ მიმოსვლა განჯასა და ქამარლიუს შორის. 16 მარტს დანიშნულია მიმოსვლა 2 მატარებლის, განჯიდან მატარებელი გამოდის 5 ს. 30 წ. ქამარლიუში მიდის 6 ს. 34 წ. ქამარლიუდან ბრუნდება 7 ს. 10 წ. განჯაში მოდის 8 ს. 45 წ.

ატყობინებს გზათა მინისტრს 15 მარტს: „ყაჩაღთა ბრბომ 13 მარტს ქოვლისა და ძეგამის ხაზზე დაეცნენ მატარებელ № 15. დაჭრილია უფროსი კონდუქტორი წიგნაძე და [illegible] ასტაკოვი. გთხოვთ მიიღოთ საჭირო ზომები, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმოსვლა უნდა შესწყდეს ამ ხაზზე.

◆ **ინჟინერი მალანია** ამიერკავკასიის კომისარიატს ატყობინებს: როგორც გამოირკვა სამართველოს წევრების მოხსენებიდან, რომელნიც გაგზავნილი იყვნენ აღმოსავლეთის ნაწილში, რომ არავითარი მუშაობა არ სწარმოებს, როგორც უფროს აგენტებს ისე უმცროსთა შორის. დავადგინეთ, რომ ყოველივე ზომები მიღებულ იქმნას მიმოსვლის აღდგენისათვის, ამისთვის ყველა ნაწილის და ხაზის აგენტებს მოუწოდებ დაბრუნდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ეხლა ამ ნაწილებში უკვე მშვიდობიანობაა და შეუდგნენ ენერგიულ მუშაობას. მთავარი რკინის გზის კომიტეტმა ამოირჩია კომისია სამი კაციდან: ესვანჯია, ფეხარი და ჩუმაკოვისაგან. ამ კომისიას მიენდობა თვალყური ადევნოს როგორც უფროსების ისე უმცროს აგენტების მუშაობას.

◆ **ეშელონების უფროსმა სახაშვილმა** ალექსანდროპოლიდან 15 მარტს ამიერკავკასიის კომისარიატს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: „გუშინ დილით 8 საათზე მოვედით ალექსანდროპოლში, ჩვენ დაგვიჭირეს ვაღონიც შეიარაღებულ კაცებმა, 10 საათზე მივიღეთ ბრძანება სომხების კორპუსის უფროსისაგან, რომელიც გადმოგვცა სიტყვიერად ექიმ ტერტერიანმა მან გვითხრა, რომ ბარგი არ გაიგზავნება ტფილისში რადგანაც სარიყამიშის ფრონტზე უფრო საჭიროა. და თუ ჩვენ არ დავმორჩილდებით ისინი მიიღებენ ზომებს. ჩვენ უარი განვაცხადეთ, გუშინ ჩემდა დაუკითხავად ძალით მთელი ბარგი მიიტანეს სანტენტანტოს პლატფორმაზე ჩვენ რომ არ დავანებეთ იმათმა გვიპასუხეს თოფის სროლით.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

დღეს, 17 მარტს საღამოს 5 საათზე ამიერკავკასიის რკინის გზის მთავარ სამართველოში „ТОВАРО-ГРУЗОВОЙ ОТДѢЛЪ“ მოხდება ამიერკავკასიის და კახეთის რკინის გზის მოსამსახურეთა კრება. კრების მიზანია ს.-ფედერალისტ მოსამსახურეთა „კოლექტივი“-ს დაარსება. ამხანაგებს და თანამგრძნობებს ვთხოვთ კრებას უსათუოდ დაესწრონ. მომხსენებლები იქნებიან ამხ. ი. ბარათაშვილი, ს. დადიანი, არ. ჯაჯანაშვილი და ტფილისის კომიტეტის წარმომადგენელი.

—

ტფილისის კომიტეტი ამით აცხადებს ამხანაგების საყურადღებოდ, რომ ყოველგვარ ცნობისათვის და საჭირო განმარტებისათვის უნდა მიმართოთ პარტიის ბინაზე (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1 ძველი სემინარიის შენობა) ამხ. პროკოფი ფანჩულიძეს და ნიკო უსტიაშვილს. კლუბი ღიაა დილის 10 საათიდან 2 ს. და საღამოს 5 საათ. 8 საათამდე.

სეიმის გარშემო

აგრარული კომისია.

15 მარტს აგრარულმა კომისიამ მიიღო შემდეგი კანონი ინვენტარის რეკვიზიციის შესახებ:

1) სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტს და, სადაც ეს კომიტეტები არ არის, მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულებს, უფლება ეძლევათ კერძო მემამულეთა მიწების კონფისკაციის დროს, მოახდინონ აგრეთვე კონფისკაცია ცოცხალი და მკვდარი ინვენტარისა, გარდა იმისა, რაც საჭირო მემამულის ხელში დატოვებული მამულის შესანარჩუნებლად;

2) ჩამორთმეულ ინვენტარში პატრონს მიეცემა საფასური იმ წესით, რომელსაც მიწადმოქმედების მინისტრი შეიმუშავებს;

3) ჩამორთმეული ინვენტარი საადგილ-მამულო კომიტეტს და, სადაც კომიტეტი არ არის, მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულს უფლება ეძლევათ ან თავიანთ განკარგულებაში დაიტოვონ, ან, მეურნეობის გასაუმჯობესებლად, შეუძლიანთ გადასცენ მიწის მუშებს საკუთრებად ან დროებით სახმარებლად ადგილობრივ გამორკვეულ ფასებში;

4) ინვენტარის ყოველი რეკვიზიციის დროს სდგება დაწვრილებითი სია, რომელიც უნდა წარუდგინოს გუბერნიის საადგილ-მამულო კომიტეტს. კომიტეტვე უნდა იცნობოს, როდესაც სამაზრო კომიტეტი ან მინისტრის რწმუნებული განკარგულებას გასცემენ რეკვიზიციის შესახებ;

5) ეს კანონი ძალაში შედის სეიმის მიერ მიღების შემდეგ.

რუსთა ეროვნული ყრილობა

(გაგრძელება)

პოდშიბიაკინი.

მოქალაქენო! თქვენ აქ გაიგონეთ, რომ რუსის ადგ. ხალხს ავიწროვებენ, სდევნიან, არა მარტო მუსულმანები, ქართველებიც და სომხებიც. აქ ისიც თქვეს, რომ ასეთი [illegible] დღე არა ერთ[illegible] მიუთითებენ 1818 [illegible] ნო, [illegible] ახლანდელ დროს შორის დიდი განსხვავებაა. მაშინ რუსობას სამშობლოს სიყვარული ასულდგმულებდა, ახლა კი ეს გრძნობა, ეროვნული შეგნება თითქოს ჩაკვდა. მასში (რუს ხალხში) ზოგიერთ უპასუხისმგებლო ვაჟბატონების წყალობით.

მართვა გამგეობა ბნელმა უსწავლელმა ხალხმა იგდო ხელში, აქ დაიწყო რევოლიუციონური რუსეთის დანაწილება.

ყოველივე ამაზე თქვენ აგებთ პასუხს (მიუთითებს სოციალისტებისაკენ).

მოქალაქენო! თქვენ ნახეთ, რევოლიუციის წლის თავზე, ის რასაც აქ ქუჩებში მღეროდენ, არ იყო რუსული ნაციონალური ჰიმნი. ასეთი ჯერ ამ ვაჟბატონებს არ შეუქმნიათ. ის საფრანგეთის პატრიოტული ჰიმნია. რა მიეცით თქვენ სოციალისტებო დღემდე დაბეჩავებულ ხალხს?

აიღეთ ფლოტის მდგომარეობა. ის ნაწილ-ნაწილ ქურდულად ყიდის რუსის ხალხის ავლა დიდებას. აი თქვენი მოღვაწეობის ნიმუში.

ჩვენ უნდა უარვყოთ ეს უნიადაგო ინტერნაციონალიზმი და მივიღოთ ნამდვილი რუსული ნაციონალიზმი.

როგორი უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი ტაქტიკა? ჩვენ აქ უნდა დავრჩეთ ჩვენ აქედან ვერავინ გაგვრეკავს (ისმის ხმა განა ვინ გვრეკავთ) თქვენ აქ დიდი მისია გაქვთ დაკისრებული (ტაში მხურვალე).

ტრუშჩენკო.

რეზოლიუციას კითხულობს და აღნიშნავს იმ ღვაწლს, რომელიც მიუძღვის რკინის გზის მოსამსახურეთ დასასრულ მოუწოდებს კრებას მიიღოს ყოველგვარი საჭირო ზომა ის მოუწოდებს ენერგიული მოქმედებისაკენ იმ მოსამსახურეებს, რომელნიც ათასობით სტოვებენ თავის პოსტს. თავის და ავლადიდებას და გარბიან, თითონაც არ იციან საით.

შემდეგ გამოდის მრავალი ორატორი რომელიც მომენტზე ლაპარაკობს. დასასრულ გამოაქვთ რეზოლიუცია.

სევდით მოცული განცდანი

არის განცდანი, ძვირფასო მკითხველო, რომლის გადმოცემა ენას არ ძალუძს, ვერავითარი ნიჭის ზედავლენით ვერ წარმოიდგენთ მას იმ სახით, რასაც ის წუთიერი განცდა გაგრძნობინებს და აი ამ განცდის გავლენის ქვეშ ვიმყოფები ეს რამოდენიმე დღე; მთლად შეიპყრო მან ჩემი არსება, ყური სევდით მევსება, ოდეს მესმის სიმღერის ხმა სამშობლოს დასაცავად მიმავალ ჯარისკაცთა.

რა ცოტა ხანია მას შემდეგ საყვედურით რომ მივმართავდით მათ, რა შეჩვენებით ვამხელდით მათ დანაშაულს სამშობლოს წინაშე და აი ეს შეჩვენებულნი, დროებით გზას გადამცდარნი, დღეს სამშობლოს დასაცავად მიეშურებიან და მათი, ვინ იცის უკანასკნელი, სიმღერის ხმა ცას სწვდება, მთა-ბარს ევლება. ამ ხმებში ჩაქსოვილია ხმა მამაცი მხედრისა და ნაღვლიანი ოჯახის პატრონისა—ვინ იცის არგუნებს თუ არა მას ბედი კვლავ ნახოს თავისი კერა, მაგრამ ძლევს მას გრძნობა სამშობლოს მოვალეობისადმი და მხნედ დასძახის სიმღერას, რომელსაც ეხმაურება ყოველი კუთხე მისი ბედკრული სამშობლოისა. ჟრუანტელი გივლის ტანში ამ ხმების გაგონებაზე, იგი ბევრ რასმე ჰქვეუბნება ჩვენ.

ეს გამამხნევებელი, სასოწარკვეთილების ჟამს იმედის მომგვრელი ხმა! და იმავე დროს ჩვენი დანაშაულების მამხილებელი ხმა!

ვინ გაუბრუნდა მათ ის გზა, რომლითაც ისინი დღეს თავგანწირვით მიდიან, ვინ გაუქარწყლა მათ მოვალეობის შეგნება თავის სამშობლოს წინაშე, ვინ მოსცხო მის ამაყ ქედს სირცხვილის ჭუჭყი, ვინ შეურაცხყო მასში ქართველის თავმოყვარეობა! მიუხედავად ამისა მან სძლია ამ გამაბოროტებელ ძალს და ჩვეულებრივი კეთილშობილებით შემოგვძახა: კმარა! ღმერთი იყოს ჩვენ შორის მსაჯული, მე კი ჩემ მოვალეობას არ უღალატებ!

და კვლავ გაისმა საქართველოს საზღვრებში ერის შვილთა [illegible] ხმა სამშობლოს დასაცავად. ისევ მოესმა ყურს ჩვენი [illegible] ხმა, ვისი სპეტაკი სიცოცხლე ვერაფერმა ვერ შეარყია; ის მხნედ მიდის და მიიწევს სამშობლოს დასაცავად თუ გინდ უკანასკნელიც იყოს ეს სიმღერა.

ოხ, ეს სიმღერა!

რა გრძნობებს იწვევს ის ჩვენ გულში, რა მძიმედ განვიცდით მას ამ ნაღვლით ნაღვლს სიმღერას! ნეტავ თუ ოდეს დამავიწყდეს ეს სევდიანი ხმები სამშობლოს დასაცავად მიმავალ ჯართა! ნეტავ თუ ოდესმე ჩემი ფიქრიდან გამოვიდეს ხსოვნა იმ განცდისა, რომლის გაზიარება ჩემ ძვირფას მკითხველთან არ ძალმიძს, არა!

ღმერთო! მიეც ძალა და მხნეობა ჩვენი ბედკრული ქვეყნის შვილებს მის დასაცავად, რათა მრავალტანჯულს გაუთენდეს მას დღე ნათელი—ბედნიერი!

თ. ჯაფ—ძისა.

ქართველ ქალებს მოწოდება

ქართველო ქალებო! როდესაც ჩვენი ბიურო არსდებოდა, მიზნად ისახავდა ქართველ ქალთა ყრილობის მოწვევას. ამ ყრილობაზე უნდა განხილულიყო და შემუშავებულიყო რევოლიუციით მოპოვებულ ქალთა უფლებების განმტკიცების საქმე ცხოვრებაში და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესობა. თავისუფალ სამშობლოში უნდა გარჩეულიყო საკითხები დედობის დაცვისა, ქალთა შრომის ყველა დარგის გათვალისწინება და ორგანიზაციებისა, ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობის შეცვლა ქალთა უფლებების სასარგებლოდ და სხვა მრავალი ქართველ ქალთათვის ფრიად მნიშვნელოვანი და საჭირო საკითხები უნდა გაირჩია და გადაეწყვიტა ამ ყრილობას.

მაგრამ ახლა დადგა წუთი, როდესაც ყველა საკითხი უნდა გადაიდვას იმ საშინელ, საბედისწერო საკითხის წინაშე, რომლისაგანაც დამოკიდებულია სამშობლოს, თავისუფლებისა და ერის ყოფნა-არყოფნის საქმე.

დიდი უბედურება მოგვადგა კარს!

შეიძლება ახლოა არის ის დრო და ჟამი, როდესაც ჩვენ ერს მოუხდება სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება სიცოცხლისა და ბედნიერების უფლების მოსაპოვებლად.

ქართველო ქალებო, ეს დროა გვალემთ გახდეთ თქვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე—ღირსეული შვილი თქვენი ერისა. იმ დროს, როდესაც თქვენ ქმრებს, ძმებს და შვილებს სამშობლო მოუწოდებს მეომართა რაზმებში, როდესაც შესაძლებელია ჩქარა დაიღვაროს იმათი სისხლი სამშობლოსა და თავისუფლებისათვის მიუშველეთ იმათ. შესწირეთ მთელი თქვენი ძალღონე მშობელ ერის თავდაცვის საქმეს, მის სიცოცხლეს მის მომავალს. დეე ყოველი თქვენი ფიქრი ამ განსაცდელის ჟამს ეკუთვნოდეს სამშობლოს თავდაცვას—მთელი თქვენი ძალღონე საქართველოს ხსნას!

ჩვენ ბიურო, რომელიც შესდგება საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა და ქალთა კავშირების წარმომადგენელთაგან, არ შეუძლია გულგრილად უყუროს ასეთ დიდ ეროვნულ უბედურებას და გადასწყვიტა იკისროს მთელი რიგი პრაქტიკული მოქმედებისა სამშობლოს დაცვის საქმეში დასახმარებლად. საჭიროა სახსრის გამოჩენა თავდაცვის საწარმოებლად და თვით ქალთა ორგანიზაციების შესანახად. არა ერთხელ უკისრნია ქართველ ქალს დახმარება გაეწია სამშობლოსათვის სხვა და სხვა სახით. არა ერთხელ გაუწირავს მას თავი, საყვარელი სამკაულები და შრომა... და თუ ეს ასე ხდებოდა წინად, ახლანდელი, არა ნაკლებ გაჭირვებულ დროს, კულტურულად უფრო მაღლა მდგომარე ქალმა უნდა გამოიჩინოს მეტი უნარი. მთელი საქართველოს ახალგაზრდობა სამშობლოს დასაცავად იარაღს აისხამს და საჭიროა ყოველ დარგში მათი ადგილი დაიჭიროს ქალმა, რომ სოფელს არ მოაკლდეს ცხოველმყოფელი კულტურული ძალა და ბავშვებიც არ შეფერხდნენ განვითარებაში. უნდა შევსძლოთ განვათავისუფლოთ ყოველი მამაკაცი თავდაცვისათვის და მათი ადგილები ჯარის ზურგში უნდა შევავსოთ მომზადებული ქალებით, დიდი შრომა იქნება ამისათვის საჭირო და საჭიროა მტკიცე შეკავშირება ყველასი. საჭიროა ყველა ქალაქს და სოფელში დაარსდეს ქალთა კავშირი. ამის განხორციელებას ფიქრობდა ჩვენი ბიურო, მაგრამ დრომ გაგვასწრო. ორგანიზაციულად შეკავშირება უფრო სასწრაფო გახდა და, მაშასადამე, თვით ადგილობრივმა ქალებმა უნდა იკისრონ შეკავშირება და ორგანიზაციების შეკვრა. საჭიროა რაც შეიძლება მალე დაარსდეს ყველგან ბიუროები და მისამართი შეგვატყობინონ. სამწუხაროდ ყოველივე ეს ასე სწრაფად არ შესრულდება და ცხოვრება კი მოითხოვს ნაწილობრივ მაინც შეუდგეთ დასახული გეგმის განხორციელებას.

მაშ დავიწყოთ პატარა საქმით, რომელიც თავდაცვის საქმეში მეტად დიდია.

ამ წუთს მორიგი და მეტად საჩქარო საწყობებში მუშაობაა—მეომართათვის ტანისამოსის გადარჩევა და მოწესრიგება, შეკვრა-გადაკეთება, მასალა ბევრია, მხოლოდ მუშა ხელია საჭირო.

ნუ დაიშურებთ ამ ხელებს თქვენი ერისათვის!

შეუმოსავად არ შეიძლება შესდგეს ჯარი და ქვეყნის დაცვა კი შეუძლია მხოლოდ ჯარს. ტანისამოსი ტყვია-წამალზე ნაკლებ საჭირო როდია ჯარისათვის.

მაშ დაეხმარეთ მას!

თუ ომი აუცილებელია, თუ სხვა გზა არ არის ჩვენი ერის ყოფნა არყოფნისათვის, თუ ესოდენ მსხვერპლის გაღებას კისრულობს სამშობლო, ჩვენც მწარე გრძნობით, მაგრამ მაინც მხარში უნდა ამოუდგეთ ჩვენ მეომრებს, იმასთან ვიყვეთ და დავეხმაროთ სამშობლოს დაცვის საქმეში. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი საათი მუშაობისა აძლიერებს იმედს ჩვენი ერის თავისუფლებისა და ბედნიერებისას.

დაყოვნება შეუძლებელია.

მაშ შეუდგეთ საქმეს!

ყოველი ქალი მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში. არავის არა აქვს უფლება განთავისუფლდეს შრომისაგან.

მაშ მიმართეთ ბიუროს, ჩაეწერეთ და სამშობლოს განკარგულებაში ჩარიცხეთ თქვენი თავი.

ქართველ ქალთა ყრილობის მომწვევი ბიურო.

—

ბიუროს მისამართი—„ნაკადული"-ს რედაქცია მამადავითის ქ. 2. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერნენ: თამარ ჩიჯავაძესთან—ვერა, ოლღას ქ. 52., სახაიე „ძმურ ნუგეშში" გოლოვინის პროსპექტი.

ჯარის-კაცის წერილი

ახლოვდება ხანა, საქართველოს ყოფნა არ ყოფნის, საქართველოს კვლავ მონობის უღელში გაბმისა! ყოველ მამულიშვილს, ყოველ ქართველს მწუხარებით ევსება გული.

შავი ღრუბელი გვიახლოვდება, მტერი კარზე გვადგია... ის მტერი, რომელიც ორი ათასი წლის განმავლობაში ოცნებობდა საქართველოს დაპყრობაზე; ეს მისთვის მიუწვდომელიყო მაშინ, დღეს კი, მეოცე საუკუნეში, თავისუფლად უპირებლოთ მუსრის მისაკუთრობს. თუ წარსულ საუკუნეებში იგი რამდენიმე ასი ათასი მხედრით აძგებოდა ხოლმე საქართველოს საზღვრებს და კიდევ ვერ ჰბედავდა მახვილის ამოწვდას, დღეს კი მას ესეც არ სჭირდება და უშიშრად იპყრობს ჩვენს საუკეთესო ციხე-სიმაგრეებსა და ქალაქებს.

ისტორიას არ ახსოვს ასეთი მდგომარეობა ქართველი ერისა... იყო დრო, როდესაც უსასტიკეს მდგომარეობაში ვარდებოდა ხოლმე ქართველი ერი. ყოველი მხრიდგან ადგებოდა მას მტერი, მაგრამ გაბედულად და გმირულათ ეგებებოდა წინ ყოველივე ამას და სიცოცხლეს სწირავდა სამშობლოს თავისი სისხლით რწყავდა თავის ძვირფასი სამშობლოს არეს... ასეთი სიყვარული სამშობლოსადმი აერთებდა ქართველ ერს და აძლევდა ძალას საქართველოს მთლიანობის დასაცავად. ამით აიხსნება, რომ ჩვენი ხალხი მრავალი საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებდა თავის სახეს გმირულად უძლეველებოდა მტრის იერიშებს. მაგრამ სად არის ყოველივე ეს?

მტერი კარს მოგვადგომია და არა სჩანს ძალა მშრომელი არის დამხსნელი მომდგარი გასაჭირისაგან.

საჭიროა ძალა რეალური, ძალა ტექნიკური. ასეთ ძალას კი წარმოადგენს ჯარი, ჯარი გაწვრთნილი და შეგნებული, რომელიც გამსჭვალული იქნება სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარულით. და თუ ჯარი მოკლებული იქნება ყოველივე ამას, და არც ისურვებს ამის შეგნებას იგი მოღალატე იქნება სამშობლოსა და ერის წინაშე მაგრამ ისტორიას არ ახსოვს ასეთი ჯარი საქართველოში საუბედუროდ არც ისეთი ჯარი ახსოვს ისტორიას როგორც არის ღლევანდელი (თანამედროვე).. მაგრამ ვფიქრობთ და ვიმედოვნებთ რომ ჩვენი ჯარი ნამდვილი რეალური ძალა შეიქნება თავის სამშობლოსათვის და არ მისცემს მტერს ნებას მისი განადგურებისას და თუ ჩვენ სამშობლოს ვერ გაუწიეთ შესაფერისი სამსახური ასეთ გასაჭირის დროს და მოღალატეთ გავხდით მის წინაშე მაშინ წყევლა კრულვით მოგვიხსენიებს ჩვენ მომავალი თაობა. და რომ ეს ასე არ მოხდეს, დროა გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომა და მით დაუმტკიცოთ ერს, რომ ჩვენ ვართ ნამდვილი შვილები ქართველი ერისა და გაჭირვების დროს მათთან მყოფნი.

ამხანაგებო!! მოაშურეთ ქალაქებს იარაღით ხელში, შევადგინოთ პოლკები, კორპუსები და მტერს დავანახოთ ჩვენი ძლიერი ძალა. დე, მტერმა გაიგოს, რომ საქართველო არ მომკვდარა,

ჯარის კაცი ტფილისის მსროლელ რაზმისა.

ილია მარგველაშვილი.

კოოპერატიული მოძრაობა

1918 წლის 18 თებერვალს მოხდა წინარეხის მომხმარებელ საზოგადოების „ფასკუნჯის" წევრთა საზოგადო კრება.

კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ ვანო გიუნაშვილმა, რომელმაც კრება კანონიერად გამოაცხადა და წინადადება მისცა კრებას აირჩია თავმჯდომარე. კრებამ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია სვიმონ რისაპის ძე მაჭავარიანი, ხოლო მდივნად ილიკო ქაშელაშვილი. გამგეობის თავმჯდომარემ წაიკითხა მოხსენება კოოპერატივის მოქმედებისა 1917 წლის 14 აგვისტოდან 1918 წლის 18 თებერვლამდე.

ამ ხნის განმავლობაში ჰყოლია 334 წევრი, რომელთაც შეუტანიათ 3340 მ. საპაიო და 334 საწევრო. საზოგადოების მაღაზიას შეუძენია 26260 მ. 76 კ. საქონელი. მოგება დაუდგიათ 5154 მ. 15 კ. აღწერის დროს მაღაზიაში ყოფილა 7072 მ. 14 კაპ. საქონელი. ამ ხანში საზოგადოებას მოუგია 621 მ. 65 კ. ინვენტარი შეუძენია 194 მ. 70 კ. კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება და 1917 წლის ანგარიში დაამტკიცა. წმინდა მოგება ასე განაწილდა: 15 პროც. გადადებულ იქმნა ძირითად თანხისათვის, 50 მანეთი საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი წმინდა მოგება გადაეცა კოოპერატივის საკუთარი შენობის ასაგებად.

კრებამ დაავალა გამგეობას შეიტანოს კავშირში საწევრო გადასახადი თანახმად კავშირის წესდებისა. ნოქრის მოწვევა და ჯილდოს დანიშვნა დაევალა გამგეობას. გამგეობის წევრად ერთხმად არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარედ ვანო გიუნაშვილი, წევრებად: ვასო მერაბიშვილი, ვანო თვაური, დათა მერებაშვილი, დათა ზარმანაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად—ილიკო ქაშელაშვილი, გაბო ტორუაშვილი და მისე ხმალაძე. კრებამ მადლობა გამოუცხადა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

მოწერილი ამბები.

ს. წინარეხი. ეს სოფელი მდებარეობს კავთის-ხეობაში, მთაში. ქართლში არ მოიძებნება სხვა სოფელი სადაც მიწის ასეთი სივიწროვე იყვეს: ახალი კანონი მათ თითქმის არაფერს ანიჭებს, ეს სოფელი ხმარობს უმეტესად სხვა სოფლების მამულს და დღეს საკითხავია, თუ როგორ უნდა მოხდეს ახალი გამიჯვნა ამ სოფლებთან. წინარეხელები ეკვრიან ტყიან მთას. ტყე, რომელსაც შესხოვრებლები უფროხიდ ბოლონენ გაკაფვას გარეშე სოფლებში, ასე რომ ამ მხრივაც უნდა მიექცეს ყურადღება და ის სოფლები რომლებიც ამათი ტყით ისარგებლებს, ნაგალენი არიან დაუთმონ ის მამული, რაც სოფლებით ჰქონდა ადგილობრივ წინარეხელებს. 10 მარტს აქ შესდგა სოფლის ყრილობა მომენტის შესახებ, ასაუბრა ი. ბერძენიშვილმა. ყრილობამ ერთხმად დაადგინა ომში გასვლა და დაადგინა ებრძოლოს ყველას ვინც კი რევოლიუციას და სამშობლოს მტრულად გამოვა. ამას თან დაერთო ის მძვინვარე შეკვლელობანი, რომლებიც ხდება ზოგიერთ სოფლებში. ამორჩეულ პირებს ყრილობამ დაავალა საერთოდ ძალღონით დაეხმარონ ეხლავე იმ ოჯახებს საიდანაც ჯარში იქნებიან გაწვეულნი. ყრილობამ იმსჯელა მიწის საკითხზე და დაადგინა: რადგან ეხლა საჭიროა ყველა ძალის გაერთიანება, მხედველობაში გვაქვს რა საერთო ნაკლებულობა მამულისა, (ყველაზე დიდი მამულიანი 5 დღს.) და საჭიროა დახმარება ჯარში გასულ ოჯახებისათვის, ამიტომ ამორჩეული პირები უნდა ეცადნენ, რომ წელს ნაკლებ ხალხს მიეცეს დასამუშავებლად მამული. ყველაზე შესაფერის და საჭიროდ აღიარეს გადასახლება. მოურავად 14 კომლამდეა. სოფელი შეპირდა ყოველგვარ დახმარებას. მამულიც აჩენილია; საჭიროა მხოლოდ წყლის გაყვანა ამისთვის აახ. ი. ბერძნიშვილს დაავალეს იშუამდგომლოს საქ. ეროვნულ საბჭოს წინაშე, რათა გამოგზანონ ინჟინერ-გიდროტექნიკოსი. წინა დღით ს. კავთის ხევში ყოფილიყო ყრილობა, სადაც ბექურების თქმით—სოციალ-დემოკრატები ისე ლაპარაკობდნენ, როგორც ჩვენი ამხანაგები; ბოლშევიკები კი როგორც წინად სოციალ-დემოკრატები. საერთოდ აღსანიშნავია რომ ჩვენი ამხანაგები ფხიზლად უყურებენ მოვლენებს და შესაფერისადაც აფასებენ მათ.

ზან—ინი.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

ნება მოგვეცით ახალგაზდა სოციალ-ფედერალისტთა სამკითხველოს გამგეობის სახელით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომლებმაც არ დაიშურეს თავის წვლილი და დაგვეხმარენ.

თამარ ფილაკანდიშვილმა ას ცალამდე წიგნი შემოგვწირა, თამარ სურგულაძემ გადმოგვცა 5 თუმანი, პავლე ჩიქვაძემ ხუთმეტიოდ წიგნი და ერთი თუმანი ფული, დ. სოლოგოშმა 12 ცალი წიგნი, მოქ. ცუცქირიძემ 15 ცალი წიგნი, ზედგინიძემ 13 ცალი წიგნი; თამარა წერეთელმა ჩვენს სამკითხველოს შეუგროვა წიგნები... ყველა ამათ უგულითადეს მადლობას ვწირავთ დახმარებისათვის.

ს. ჭ—ძე.

—

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ ეს წერილი დაბეჭდოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში.

სოფელ დიდი ჯიხაიში პატარა-ქამვეთის ახლად გახსნილ წიგნ საცავ-სამკითხველოს წარსული წლის განმავლობაში დახმარება გაუწიეს შემდეგ პირებმა:

ლავრენტი სანაძემ 30 მან., კონსტანტინე სანაძემ 25 მ., პეტრე კახაძემ 10 მან., იოსებ სანაძემ 10 მან., მათე სადარეიშვილმა 10 მ., გიგო ვაშაკიძემ 10 მ., ვასო მელქაძემ 10 მ. დავით კახაძემ 10 მ., პეტრე კახაძემ 5 მან., ხუხტორი მელქაძემ 4 მან.

ვლადიმერ ქუთათელაძემ შეკრიბა ამხანაგთა შორის 99 მან., იოსებ მელქაძემ შეკრიბა ამხანაგთა შორის 60 მან. 20 კაპ; ვასო სანაძემ, გერასიმე დარასველიძემ და დავით სადარეიშვილმა შეკრიბეს ამხანაგთა შორის 90 მან. 50 კაპ., რაფიელ სანაძემ შეკრიბა ამხანაგთა შორის 50 მ. 45 კ. ბასილინა დარასველიძემ და ლიდა დარასველიძემ შეკრიბეს ამხანაგთა შორის 83 მ., ლიდია მელქაძემ შეკრიბა ამხანაგთა შორის 67 მან., ხუთ-ხუთი მან.: შესწირეს: ლიდიე მელქაძემ, გიორგი მელქაძემ, ივანე სანაძემ, გაიოზ კახაძემ, კოსტა დარასველიძემ, გიგო კახაძემ, ნადია კახაძემ, ანა კახაძემ, პავლე დარასველიძემ ალექსანდრე ლეკვეიშვილმა, ალექსანდრე მელქაძემ, ნიკოლოზ კახაძემ, ივანე ბიბილაიშვილი, სტეფანე სანაძე, დათიკო სადარეიშვილმა, ვანო ზაზუნაშვილმა, ალექსანდრე ნიქაბაძემ.

სამ-სამი მანეთი შემოსწირეს: ალექსანდრე ლეკვეიშვილმა, ნოე აბზიანიძემ, ალექსანდრე მელქაძემ, სევერიანე მიქელაძემ, გერასიმე შონვაძემ, რომანოზ შონვაძემ, ილარიონ ბალანჩივაძემ, ლადიკო მელქაძემ, ფარნაოზ მელქაძემ, ზაქრო სონაძემ, იროკლი ახალაძემ, ნესტორ დარასველიძემ, პავლე თუთისაძემ, ნოე სადარეიშვილმა, ივანე მელქაძემ, რაჟდენ კახაძემ, ბესარიონ მელქაძემ, სილოვან შონვაძემ, ბესარიონ დარასველიძემ, გრიგოლ რევაზიშვილმა, გიორგი კახაძემ.

ორ-ორი მან.: აფანასე შუბლაძემ, ვალერიანე შუბლაძემ, ამბაკო მელქაძემ, სიმონ ბიბილეიშვილმა, კლემენტი კახაძემ, არსენ ქუთათელაძემ, ექვთიმე ბალანჩივაძემ, ეფროსინე კახაძემ, სერგო მიშველიანმა, ბესარიონ მელქაძემ, პარმენ დარასველიძემ, გუსტავე სანაძემ, ფატი ნემსაძემ, ალექსი შუბლაძემ, ნიკოლოზ მელქაძემ, სტეფანე სადარეიშვილმა, გიორგი მეთათელაძემ, ოქროპირ კახაძემ, ანტონ სანიძემ, ნ. კახაძემ, ნიკ. მანჯგალაძემ, პ. დარასველიძემ.

გამგეობა მადლობას უცხადებს ზემო აღნიშნულ პირებს.

გამგე მასწ. ე. დარსაველიძე.

გამომცემელი
სამხრე ფრონტისათვის
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ძ. კაკაბაძე.

ექიმი რევაზ ალექსანდრეს ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალებს მიიღებს 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. ხადამოისა.
სოლოლაკის და მაჩაბლის ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1008

ცურიხის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
ბ. ბ. მეჭრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ფილტვის—პლევრის გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრო სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა სხივებით, დიდი სოლოხოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606" და „914

ავადმყოფანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11\frac{1}{2}$ ს.
ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (იფილის. ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: $2\frac{1}{2}$—3 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ახაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

ექიმი
ნ. ბ. გრიშიტაშვილი
[illegible] ტერინად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიოდ საშვილოსნო ავადმყოფთ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22. ვორონცოვის ძეგლის ახლო. 193

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. [illegible] ქ. 12, 9 [illegible]. 1002

ექიმი
ს. ზ. ჭირზოევი
ყოფილი ორდინატორი ტფილისის ქალაქის საავადმყოფოსი, იღებს $1\frac{1}{2}$—$3\frac{1}{2}$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელ. 16—37. 1009

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი მოსკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. გულისა, ფილტვისა და ხორხის კლინიკებისა. სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. გრიბოედოვის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „მას-შინდის" პირდაპირ. 1029

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
შინაგანი სნეულებანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—1 საათ. საღამოს 4—6-მდე მიხაილოვის ქ. № 11. 204

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
გ. ბ. მუხაძე
იღებს სტომატოლოგიურ ავადმყოფთ [illegible] 5—6 ს.-დე კვირის დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] სამკურნალოს [illegible] შენობის პირდაპირ, სახლი [illegible]შვილისა. ტელეფ. 6—77. 1030

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
[illegible] ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5\frac{1}{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
ბ. ბ. ნარიმანოვი
ვენერიული, კანის, თმის ძირის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

„სახალხო საქმი"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ.	3 მ.
გლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4 „
გრიშაშვილი წ. I	3 „
ქართველი მწერლები.	2 „
უცხოეთის „	2 „
შიუკაშვილი—„მეგობრობა".	— 60 კ.
ჯავახიშვილი—„თამარ მეფე".	1 „ 20 „
ფირცხალავა ს. „სამიმართლიანი საქართველო".	— 40 „
გლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი"	— 50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა წესრიგდება დაუყოვნებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".